# დროშა

№ 12

## შ ი ნ ა ა რ ს ი:


ლენის მუშების დახვრეტა.
**ირ. ევდოშვილი**—დაუბეჭდავი ლექსები:—
ციმბირიდგან გამოქცეული.
სიმღერა ტუსაღისა
იეანე ფალიაშვილი.
**დიმიტრი გორდეევი**—ძველი ქართული ხუროთ მოძღვრე-
ბის მეორე გამოფენის შესახებ.
**დ. პავლიაშვილი.**—ხევსურეთი.
**ი. ჭარელი**—ვაჟას.
**ი. ერენბურგი**—„მხიარული ფინიში“.
სანდრო ეული (ს. ქურიძე)
**სანდრო ეული**—ნათახის ქარხანა.
**ლევან მეტრეველი**—„ველური“ და „ლეკის ქალი“
**პ. ნეზმანოვი**—ომი სასახლეებს.
**ალი არსენიშვილი**—რუსული პროზა. ილია ერენბურგი.
**სანდრო შანშიაშვილი**—ლატავრა.
**ადონის**—მოქანდაკე გ. სესიაშვილი.
სახალხო კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი.
ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, ილუსტრაციები და კარიკა-
ტურები.



# საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურ-
# ნეო ბანკის (ყოფ. სახბანკი)

# გამგეობა

ამით აცნობებს ყოფილ ტფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებისა და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების მსესხებლებს, რომ თანახმად საქართველოს საბჭოთა მთავრობისაგან 28 დეკემბერს 1922 წ., № 16 გამოცემული დეკრეტის, მიმდინარე წლის 31 იანვარს გათავდა ვადა მოხსენებულ ბანკებსა და საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ მამულებზე აღრიცხულ ვალების მეორე ნახევარ წლის გადასახადების შემოტანისა და ამის გამო მოკლე ხანში გამგეობა შეუდგება საჯარო ვაჭრობისათვის განცხადების შედგენას და, რადგანაც საჯარო ვაჭრობის მომზადება და განცხადების გაზეთებში დაბეჭდვა გამოიწვევს დიდ ხარჯს, რომელიც გადატანილი იქნება მსესხებლებზე და განცხადების სიებში მოქცეულ იქნებიან ყველა მამულები, რომელთა პატრონებს არ შემოუტანიათ პირველი და მეორე, ან მხოლოდ მეორე ნახევარი წლის გადასახადები, გამგეობა სთხოვს ასეთი მამულების პატრონებს ზედმეტი ხარჯის ასაცილებლად კეთილ-ინებონ და შემოიტანონ მოკლე ხანში ვადაგასული გადასახადები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

| განცხადების ტარიფი: | ხელის მოწერა: | რედაქციის და კონტორის მისამართი: |
|---|---|---|
| ერთი გვერდი . . 100 მ. რუბ. | სამი თვით . . 1 მან. 20 კ. რუბ. | რუსთაველის პრ. № 22. |
| ნახევარი გვერდი . 50 მ. ,, | ერთი თვით . . . 40 კ. ,, | მიიღება ხელის მოწერა დღიდან 9—3 საათამდე. |
| მეოთხედი გვერდი . 35 მ. ,, | ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. ,, | |

№ 12 — სამშაბათი, 15 აპრილი 1924 წ. — № 12

## ლენის მუშების დახვრეტა.

(17 აპრილი 1912 წ.)

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციამ შეაფერხა მუშათა მოძრაობა. სისხლის ვაკხანალიამ დამსჯელ ექსპედიციების, სამხედრო საველე სასამართლოების და დახვრეტების საშუალებით, რომელიც მძანვარებდა მონარქიულ რუსეთში ჩაახრჩო, დროებით შეაჩერა მუშათა და გლეხთა რევოლიუციური მოძრაობა და თითქმის სისხლიდან დასცალა.

მაგრამ ეს დამშვიდება არ იყო საბოლოო. 1912 წელს იწყება ახალი აღორძინება. 17 აპრილს (4 აპრილს ძველი სტილით) შორეულ ციმბირის ტაიგაში ლენის ქარხნებში დახვრეტილ იქმნენ რამდენიმე ასი მუშა, რომელთაც ადმინისტრაციას წარუდგინეს რიგი მოთხოვნილებათა.

ამ მხეცურ დახვრეტის გარემოება იყო ასეთი: თებერვალში ქარხნების მუშებმა აუტანელ პირობების გამო წარადგინეს 13 მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებათა შორის იყო 30% ხელფასის მომატება, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და გაძევება იმ 27 კაცისა ადმინისტრაციისგან, რომელნიც იყვნენ დაუძინებელი მტრები მუშებისა. 2000 ვერსით რკინის გზიდან დაშორებულ ქარხნებში ამ დროს არ იყო საკმაოდ შეიარაღებული ძალა და ამიტომ ადმინისტრაცია აგვიანებდა მოლაპარაკებას და იმავე დროს გამოიწვია ჯარი ირკუტსკიდან. იქიდან მოვიდა ჟანდარმთა როტმისტრის ტერეშჩენკოს და პრაპორშჩიკის ლებედევის მეთაურობით ჯარის კაცთა რაზმი. ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად არჩეული დელეგატები (არჩევნები მოხდა დიამბეგის და საოლქო ინსპექტორის წინადადებით) დააპატიმრეს. 17 აპრილს მუშები გაემართნენ ნადეჟდინის ქარხნისკენ მოსალაპარაკებლად, მათ შეხვდა ქარხნის ადმინისტრაცია და ჟანდარმის როტმისტრი. მოლაპარაკების დროს ტერეშჩენკოს ბრძანებით მუშებს აუტეხეს სროლა. მოკლულ იქმნა 270 მუშა და დაჭრილი 250. ამ მხეცურმა დახვრეტამ აალელვა მთელი მშრომელი რუსეთი.

პიტერის, მოსკოვის და სხვა ქალაქების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა. ამ დახვრეტის შემდეგ მუშათა მოძრაობა თანდათან იზრდებოდა. და 1914 წელს უმაღლეს წერტილს მიაღწია.

მხოლოდ ომმა შეაჩერა ეს მოძრაობა და სამი წლით დააყოვნა თვითმპყრობელობის დამხობა.

# ციმბირიდან გამოქცეული.

ტყევ შემიფარე გამოქცეული
დღის სინათლისგან ტყევ დამიფარე.
იქნებ წადილი მე ავისრულო
და კიდევ ვნახო სამშობლო არე:
ვნახო შვილები, თუდა ვიპოვე,
თუ გადაურჩნენ სიმშილს და ტანჯვას.
ვნახო უმწეოთ დახოცილები
და ვეამბორო მშობლების საფლავს!
კიდევ ვნახო ის... მაგრამ ვაი
მისი ამბავი აღარ მსმენია
ვინ იცის იქნებ—სუსტი ლერწამი
ქარიშხალს უკვე გაუთელია!
მაგრამ მაინც ტყევ შენ დამიფარე
მინდა რომ მოვკვდე თავისუფალი,
მინდა რომ ერთხელ ჩემსა სამშობლოს
მტრისგან ნახარს მოვავლო თვალი.
ვიცი ვერ ვნახავ იქ ამხანაგსა
მტრის თოფის ტყვიით იგი მკვდარია.
ვეღარც ჩემს ქოხმახს, უწყალო ხელით
ისიც მტრისაგან გადამწვარია
ჩემს კარმიდამოს მტვრათ გადაქცეულს
მიკიოტი და მგლოვიარობდა,
ობოლი ყურშა ღმუილ ტირილით
პატრონს ეძებდა და ეძახოდა.
კეთილო ძაღლო, შენ მტერს არ ჰგევხარ
მახსოვს ტყე-მინდვრათ შენი ნავარდი,
მახსოვს ნახტომი მე ყურშავ შენი,
ელვასებრ მალი, ელვასებრ მარდი
ეხლა თვით გავხდი ყურშავ ნადირი
თვით გადავიქეც მხეცად ტყე ველის
უკან მომდევენ მონადირენი
და წინადანაც კვლავ ტყვია მელის.
მივსწურავ გზასა... მივიპარები,
ვით ავაზაკი ჩემს სამშობლოში
ტყე დაბურული მაქვს თავსაფარად
და საზრდოთ პური გლეხების ქოხში.
ასეა ძმაო, შენ ძმათ ის გიცნობს
ვინც ჰირვარამში გამოცდილია
— შენებრ ნატანჯთგან მოწვდილი ლუკმა
ღარიბი არი, მაგრამ ტკბილია!
წყალზეც მეთევზეს ნავით გავყევარ
იცნობს ჩემგვარებს, ბევრი უნახავთ,
და სისხლიანი ციმბირის ველი
ჩემებრ დასხლეტილთ ბევრს გადულახავთ.
შენც შემეწიე ღამის გუშაგო,
მალე მოჰფინე გზაზე წყვდიადი,
მზეე ალიონზე დაიგვიანე
რომ გვიან ვნახო მე განთიადი
და შენც შავო ტყევ, გამოქცეული
ჩემს მდევართაგან გთხოვ დამიფარე.
წყვდიადო ლამევ, ვიცი არ გამცემ
ბორკილებიდან გამოქცეულსა
გზათ შენ გენდობი დასასვენებლად
დღისით მივატან ტყეს დაბურულსა,
იქნება ბედმა არ მიღალატოს
იქნებ სამშობლოს მე მივახწიო
ხუნდებში სიკვდილს ის მირჩევნია
მტერთან ბრძოლაში ტყვიამ გამფათროს.

ი. ევდოშვილი.

# სიმღერა ტუსაღისა*).

მშვიდობით ჩემო სამშობლო მხარევ!
მშვიდობით, მივალ დღეს გესალმები!
ველარა ნახოს ჩემმა თვალებმა
შენი ლამაზი ამაყი მთები!
ველარ ვიხილო ჭალა, ტყე, ბორცვი,
მთით გადმომსქდარი ცელქი მდინარე;
ველარ ვიხილო სატრფო გულისა;
ყელს მიხუტული სახე მღიმარე.
მის მკერდის ნაცვლად ტანჯვის წუთებში
მე თავს მივაყრდნობ ციხის კედელსა;
ცივი ბორკილი შეეფეთება
მის საალერსოდ გაწვდილს ხელებსა;
მოლტილს, მოქანცულს მოსასვენებლად
არ დამიხვდება მკერდი დედისა
და სასთუმალად ბევრჯელ შემხვდება
გვამი მეგობრის ჩემის ბედისა!
ტოლ-სწორთა შორის სიმღერის ნაცვლად
ჩემი ბორკილი დაიჩხარუნებს
და ხმა იმისი, ხმა შესაზარი
ამიშლის ფიქრებს, ამიშლის წყლულებს;
მშვიდობით ჩემო სამშობლო მხარევ!
გემშვიდობები დღეს შენი შვილი!
მივდივარ ბორკილს მივაჩხარუნებ,
მიტომ რომ გაძევს თვითონ ბორკილი!

— —

სამშობლოს მთების ლალო ქურციკო,
მშველო, ჯერანო, ირემო ტყისა!
გემშვიდობებით თქვენც სხვებთან ერთად,
თქვენ ხომ არ იცით ხმა ბორკილისა!
მშვიდობით დაბავ—ქალაქ სოფელო,
აოხრებულო და გადამწვარო!
მშვიდობით ქოხო ჩემო ღარიბო,
მშვიდობით დედავ ჩემთვის გულ-მკვდარო!
და თქვენც კანჯარნო მაღალ მთებისა,
მანდ რო გამფრთხალხართ მთის ხევხუევებში;
თქვენლა გადარჩით, თქვენ დაიტირეთ
ყორანთ ნაკორტნი ამხანაგთ ლეში!
თქვენ კი მტარვალნო, მტარვალნო ჩემის
აოხრებული სამშობლოისა
წყევლა და კრულვა! მწამს დაგიდგებათ
ჟამი ტირილის, ჟამი გლოვისა!
ცოტა ვიცოცხლე და ბევრი ვნახე,
ვნახე ქურუმნი გართხმულნი ძირსა;
წეწვა და გლეჯა მათი მანტიის
სისხლით გასვრილი მათ პორფირისა!
მივდივარ, ბორკილს მივაჩხარუნებ,
მაგრამ თან მიმდევს მასთან იმედი;
მწამს საბოლოოთ რომ ხალხს უპყრია
თავისი ხვედრი, თავისი ბედი!

**ი. ევდოშვილი.**

---

*) ეს ლექსები დაწერილია ავტორის მიერ ვოლოგდის გუბერ-ნიის ქ. სოლვიჩეგოდსკში, სადაც მგოსანი გადასახლებული იყო 1909 წ. ტფ. გენერალ-გუბერნატორის, ლოზინო-ლოზინსკის განკარგულებით. იროდიონ ევდოშვილმა ციმბირში და ციხეში ოთხი წელი დაჰყო, იქიდან დაბრუნდა ჭლექით დასნეულებული და გარდაიცვალა 1916 წელს ტფილისში.

ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომრებში მოვათავსებთ ირ. ევდო-შვილის სხვა, დაუბეჭდავ ლექსებს, რომლებიც მის: ქაღალდებში აღმოჩნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ივ. ფალიაშვილი.

# ივ. ფალიაშვილი.

ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში. სწავლა მიიღო ადგილობრივ გიმნაზიაში. ამავე დროს სწავლობდა ფისგარმონიის დაკვრას. მეექვსე კლასში იყო, როდესაც იგი 19 წლისა მოიწვიეს ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში საეკლესიო ორგანისტათ. ამავე დროს სწავლობდა სამუსიკო სასწავლებელში. სწავლობდა კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვთან და ნ. კლენოვსკისთან. შემდეგ წავიდა მოსკოვს და მეცადინეობდა კომპოზ. ტანეევთან. აქედან გადავიდა ლენინგრადს, სადაც ხან-გამოშვებით მეცადინეობდა კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვთან. ნივთიერი უსახსრობის გამო იგი იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო სამშობლოში და შრომისთვის მოეკიდა ხელი. ამ დაბრუნებისას იგი ისევ ორგანისტად მსახურებდა ეკლესიაში. მისი პირველი გამოსვლა საზოგადოების წინაშე, როგორც პროფესიონალის, იყო 1888 წელს ტფილისში. იგი ლოტბარობდა ძველ ქართულ თეატრში საოპერეტო დასის ორკესტრს. ამის შემდეგ იგი ჩაება სათეატრო მუშაობაში და 1889 წლიდან 1892 წლამდე მსახურობდა ტფილისში ხორმეისტრად, და მეორე ლოტბარად ანტრეპრენიორთა: ფორკატის, სამარინის-მახოვეცის და მარ. სადაროვ-აბაშიძის საოპერეტო დასებში. მხოლოდ 1893 წელს მოიწვიეს უკრაინელთა საოპერეტო დასში ლოტბარათ. შემდეგ 1894 წლ. 1896 წლამდე მსახურებდა ქ. ხარკოვში წერეთელის ანტრეპრიზაში ხორმეისტრათ. 1897 წლ. 1902 წლამდე იგი იყო მიწვეული ხორმეისტრად იტალიურ ოპერაში ქ. ოდესაში ქალაქის თეატრში, ნ. სოლოვცოვის და მ. ლუმბროვსკაიას ანტრეპრიზაში. ამ ხანებშივე ფიგნერმა მიიწვია თავის საოპერო დასში ლოტბარად; ორი წლის განმავლობაში ვოლგის ნაპირას ქალაქებში მართავდა საოპერო წარმოდგენებს. ყველა ამ ქალაქებში დიდი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა და პრესისა. 1904 წ. იგი დაბრუნდა ტფილისში. ჩამოსვლისთანავე მიწვეულ იქმნა მომღერალ დონსკოის საოპერო დასში ლოტბარათ სახაზინო თეატრში. დონსკოის ანტრეპრიზის შემდეგ ასევე მიიწვია სახაზინო თეატრში ანტრეპ. ალ. ეიხენვალდმა, 1907 წლამდე იგი რჩება ტფილისის სცენაზედ. მხოლოდ 1908—1910 წლებში იგი კვლავ მსახურობს რუსეთში ქ. ეკატერინებურგში, 1911 წლის სეზონში ვანომ თითონ შეადგინა საამხანაგო საოპერო დასი და ჩვენ მას ვხედავთ ისევ ტფილისის ოპერაში მომუშავეს 1915 წლამდე. იგი ამ დროს უკვე საკმაო ცნობილი ლოტბარი იყო. 1915 წ. სეზონის დასრულების შემდეგ ფალიაშვილი მთელი თავის დასის შემადგენლობით გაემგზავრა შორეულ აღმოსავლეთს, ქ. ვლადივოსტოკს. ორი წლის განმავლობაში მოიარა ციმბირის შემდეგი ქალაქები: ხარბინი, ბლაგოვეჩენსკი, ხაბაროვსკი, ჩიტა, ირკუტსკი, ომსკი და ტომსკი. 1917 წელს მათ ოქტომბრის რევოლუციამ უსწრო ირკუტსკში, დასი დაითხოვა და თვით პეტროგრადს, წავიდა, სადაც დაჰყო სახელმწიფო ოპერის ლოტბარათ ორი წელი. შემდეგ კი მას კვლავ მოუხდა ურალისაკენ გამგზავრება, სადაც დარჩა სამ წელს. ამის შემდეგ კვლავ დაბრუნდა ტფილისში. ჩამოსვლისთანავე იგი მიწვეულ იქნა სახელმწიფოს აკადემიურ ოპერის მთავარ ლოტბარად და სამხატვრო ნაწილის გამგეთ. ვანო ეხლაც მსახურობს საოპერო თეატრში. ამდენი წლების მოგზაურობისა და მუშაობის შემდეგ იგი ისევე ახალგაზრდული გატაცებით და ენერგიით უძღვება საყვარელ საქმეს.

18 აპრილს, სახელმწიფო ოპერის დირექცია უმართავს თავის დამსახურებულს მოამაგეს ვანო ფალიაშვილს მისი სამუსიკო მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს.

# ძველ ქართულ ხუროთმოძღვრების მეორე გამოფენის შესახებ.

ამას წინად დახურული ძველ ქართულ ხუროთმოძღვრების ნაშთთა გამოფენა, რომელიც ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ხელოვნებათა ისტორიის კაბინეტის მიერ იყო მოწყობილი საქართველოს მუზეუმის ახალ სახლში, მიმდინარე აკადემიური წლის თვალსაჩინო მეცნიერულ—პოპულიარულ წამოწყებად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, ამ გამოფენამ ვერ ნახა ღირსეული დაფასება, იგი ინახულა საზოგადოების მეტად ვიწრო წრემ. იმავე სახლის სალექციო დარბაზში საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამართული იყო სამი საჯარო სხდომა, რომელიც უმთავრესად შეეწირა გამოფენაზე დაგროვილ ნაშთებს: ეს სამი სხდომა დაიკავა ძველ ქართულ ხუროთმოძღვრების მეორე გამოფენის ინიციატორის და მთავარ ხელმძღვანელის პროფესორ ჩუბინაშვილის მეტად შინაარსიანმა მოხსენებებმა. ამ სხდომებმა, რომელთაც ხალხი ხალისით ესწრებოდა, ხელი შეუწყეს უფრო ღრმა და მრავალმხრივ გაგებას ფართო საზოგადოების მიერ იმ მეცნიერულ გან-

ძისა, რომელიც მოცემული იყო გამოფენაზე. მეცნიერულ კვლევა-ძიების ტემის მიხედვით მეტ-წილ ექსპონატთა დაჯგუფება შეიძლება შემდეგნაირად: 1) საეკლესიო ხუროთმოძღვრება მცხეთის სვეტი—ცხოვლის დიდი საყდრის ტიპისა და 2) კახეთის ხუროთმოძღვრების ნაშთები. სხვა მასალებს ცოტათ თუ ბევრათ ემჩნეოდათ შემთხვევითი ხასიათი.

გამოფენილ საგნებთან შეფარდებული იყო ლექციები: 1) საერთო შესავალი ხასიათისა იყო—ქართულ ხელოვნების შესწავლის ამოცანები, 2) მცხეთის ჯვრის ტიპის ცენტრალურ—გუმბათიან საყდრების შესახებ და 3) კახეთის ხუროთმოძღვრების შესახებ.

იმავე მიზანს—გამოფენისადმი საზოგადოების ყურადღების მიქცევას—ისახავდა პროფესორ ჩუბინაშვილის დიდი ფელეტონი გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს № 530 ში, სამწუხაროდ დიდის დაგვიანებით დაბეჭდილი (20/III—1924 წელს).

ამ ლექციებმა და ფელეტონმა გამოაშკარავეს ის ძირითადი გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა გამოფენილ ნაშთთა შემკრები. ამ რიგად გამოფენას არ ჰქონია პრეტენზია საშუალო საუკუნეთა ქართულ ხუროთმოძღვრების ისტორიის მთლიან სურათის მოცემის; იგი რამდენიმედ მაჩვენებელი იყო იმ მუშაობის შედეგის, რომელსაც ეწეოდა ხელოვნებათა ისტორიის კაბინეტი და აგრეთვე კავკასიის ისტორიულ—არქეოლოგიური ინსტიტუტი.

ნატურიდან გადაღებულ ნახაზთა და სურათთა უმეტესობა შესრულებული იყო სამოქალაქო ინჟინერ ნ. პ. სევეროვის მიერ. თითქმის ყველა მისგ ნ შესრულებული ნაწარმოები შეადგენს სრულიად ახალ მასალას, ძველ ქართულ ხუროთმოძღვრების პირველ გამოფენაზე არყოფილს, რომელიც მოწყობილი იყო 1920 წელში საქართველოს საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების მიერ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სამწევრის პატარა ეკლესია, ხელახლად უფრო დეტალურად გამორკვეული და გამოხატული.

სევეროვის ნამუშევარს გარდა არის ნახაზნი არქიტექტორის მ. გ. კალაშნიკოვის; ამ უკანასკნელის ნახაზთა შორის ყველაზე უფრო შესამჩნევ, არტისტიულად ნახაზ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს დაწვრილებით და პირდაპირ თეთრად შესრულებული გაზომვა ატენის სიონისა, კავკასიის ისტორიულ—არქეოლოგიურ ინსტიტუტის დავალებით გაკეთებული. ამ გაზომვის პირველი შავი ნახაზი და ვაჩნაძიანის საყდრის ნახაზის ფოტოგრაფიები გამოფენილი იყვნენ პირველ გამოფენაზე. სრულიად ახალი ნახაზებია—კახეთის ძველ შუამთის სამ ეკლესიის გაზომვა—ერ-



ატენი. გარდიგარდმო განკვეთილი.
(გაზომვა და ნახაზი კალაშნიკოვისა).



ატენი. ტაძრის განსწვრივ განკვეთილი.
(გაზომვა და ნახაზი კალაშნიკოვისა).

თი ბაზილიკა, ორი გუმბათიანი საყდარი, შესრულებული ხელოვნებათა ისტორიის კაბინეტის დაკვეთით.

ნახაზებსა და საეტიუდო ნატურიდან გადაღებულ ნახატებს გარდა გამოფენაზე ფოტოგრაფიულ სურათთა მდიდარი სერიაც იყო. ამათ ნაწილს შეადგენდა ძველი ფოტოგრაფიები ერმაკოვის კრებულიდან, საერთოდ კი ამ ნაწილში მეტობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოგრაფიული ლაბორატორიის გამგის, მხატვარ დ. გ. კიუნეს კუთვნილი ახალი მასალები.

ზემოთ აღნიშნულ ექსპონატებს გარეშე, რომელთა ნაწილი საგანგებოდ შეკრებილია და ნაწილიც შეუარდებულია გამოფენისათვის პროფესორ ჩუბინაშვილის მიერ გაწეულ მეცნიერულ მუშაობის გეგმისდაგვარად ქართულ ძველ ხუროთმოძღვრების დარგში, გამოფენას ამშვენებდა მთელი რიგი ნ. პ. სევეროვის აკვარელებისა, უმეტესად მისივე ინიციატივით შესრულებული ნატურიდან—როგორც თვითეულ ძველ ნაშთიდან, ისე მთლიან არქიტექტორულ ანსამბლიდანაც.

უმთავრეს ნაწილს შეადგენდენ ძველი ტფილისის კუთხეები (10 ნაწარმოები), რომელნიც ჩვეულებრივად წარმოადგენენ საერო შენობათა ჯგუფებს, ხანდახან რომელიმე საეკლესიო შენობის დართვით (პეტხაინის საყდარი ან მეტეხისა). უმეტესობა აკვარელი შეფერადებული ნახატებია. მეტად გამარჯვებული სერიაა – ძველი ტფილისის საერთო სურათი მტკვრიდან სიონის ტაძრის მხარეს. ტფილისის მიდამოებიდან აღებულია: 1) მცხეთის კუთხეთა მოტივები (მცხეთის საერთო სურათი არაგვის აღმოსავლის ნაპირიდან; მცხეთის საერთო სურათი საკრებულო ტაძრით მტკვრის სამხრეთის მხრიდან; საკრებულო ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრიდან), 2) ზედაზნის მონასტრის შესავალი (საალყო კედლის ნაწილი კარი-ბჭით—რამოდენიმედ მოსაწყენად გაფერადებული, მაგრამ დეკორატიული მოტივი), 3) სასახლის საინტერესო აგებულების და მთიულ ბაზილიკის ნანგრევები.

განსაკუთრებულ ვიტრინაში მოცემული იყო ტფილისის სამხატვრო აკადემიის მიერ გამოცემულ ალბომის ფურცლები, დილომის გლეხთა დარბაზისადმი მიძღვნილი სევეროვის ნახაზებით და ჩუბინაშვილის ტექსტით. გამოფენაზე იყო აგრეთვე ამ დარბაზის გარეგანი პირის და შესავლის ორიგინალური ნახატები.

კახეთიდან მხატვარს გამოუტანია ალავერდის შენობათა საცხოვრებელ კუთხეების ნახატები; ალავერდის საკრებულოს შინაგანი კუთხე შინა კიბის დასაწყისით და ასიმეტრიული და შემთხვევითი ფორმის მქონე ფანჯრის ხვრელის თავზე საინტერესო დაკიდულ თაღით; ნინო წმინდას ნანგრევის სატრაპეზო ნაწილის სურათი (აქ,

სხვათა შორის, გადმოცემულია ფერადებიანი შთაბეჭდილება მხატვრობის ფრაგმენტებისა); ეგრეთ წოდებულ ჯანდიერის სასახლის ნანგრევები—ალბომის ნამცეცები აკვარელით გახალისებული და კალმით შემოხატული; ყველაზე უფრო სიახლით მოსილი და მხატვრულად შესრულებული ნაწარმოები სევეროვის მიერ მოცემული ამ გამოფენაზე ჩემის აზრით ვაჩნაძიანის ყოვლად წმინდის შინაგანი სურათია (ნოყიერი, ფერადებით ლამაზი აკვარელი ფანქრით მოხაზული).

დასავლეთ საქართველოდან იყო მხოლოდ აკვარელი, მარტვილის საყდრის ჩრდილო ნაწილის (ნახატობის საერთო ფერადი შთაბეჭდილება).

გადავდივარ რა ეხლა გამოფენის ძირითად მასალაზე—ნახაზებზე, უნდა ვსთქვა, რომ უმთავრესი მათი ნაწილი ეკუთვნის კახეთის ხუროთმოძღვრების ნაშთებს. მართალია, ჯერ შორსაა სავსე მეცნიერული აღწერა საქართველოს ამ საინტერესო და თავისებურ კუთხის ყველა ძეგლებისა, მაგრამ ისიც, რაც გაკეთებულა უკანასკნელ წლებში, დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ მიმართულებით.

გაზომილი ნაშთები ეკუთვნიან სხვა და სხვა ეპოქებს და მრავალფეროვან არქიტექტორულ ტიპებს და მით ააშკარავებენ საქართველოს ამ კუთხის კულტურულ მემკვიდრეობის სიმდიდრეს მხატვრულ შემოქმედების ამ დარგში. თანახმად ძველ ტრადიციისა კახეთის საზღვრები ამ მასალებში აღებულია დასავლეთით - არაგვამდე და სამხრეთით — მტკვრამდე.

თითქმის ყველა ნახაზებს გამოფენაზე დართული აქვს მითითება ამა თუ იმ ნაშთის წარმოშობის თარიღზე, იგივე იყო ნაჩვენები საგაზეთო წერილშიაც, მიუხედავათ ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ თარიღებს კახეთისათვის აწესებს პროფესორი ჩუბინაშვილი და არაა მოცემული რაიმე პირდაპირი ისტორიული მითითებანი. ქვემოდ ყველგან, თუ საგანგებოდ აღნიშნული არ იქნება, მე მომყავს პროფესორ ჩუბინაშვილის დათარიღება.

გამოფენის ამ განყოფილებიდან ამ ნომერში მოცემულია რამოდენიმე ნიმუში, ბაზილიკებიდან აღებული: 1) ზედაზნის მონასტრის საყდრის ნახაზები (მე-VIII საუკუნის დასასრული) და 2) ნეკრესის მონასტრის დიდი ბაზილიკის საერთო გეგმა (მე-VIII საუკუნე). ორივე ეს შენობა ამ არქიტექტორულ ტიპის საყდრების შედარებით თვალსაჩინო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს. ორივე ძეგლი, პროფესორ ჩუბინაშვილის აზრით, თავის აღმოცენების დროის მიხედვით დაახლოებული არიან და იძლევიან ერთ ძირითად ტიპის სხვადასხვა ვარიანტს, როგორც ეს ნახაზებიდან სჩანს. ზედაზნის ბაზილიკის საშუალო ნაწილი ფართოთაა გაღებული მრავალ საშუალ განსვლით, გვერდზე მყოფ სადგომებთან რომ ერთდებიან. ნეკრესის დიდი ბაზილიკა უფრო შეკრულია; საყდრის მთავარი შენობა მხოლოდ სამი კარით უერთდება მის გარშემო დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით შემოვლებულ კარიბჭეს, რომლის გამგრძელებელი ტოტები ვერ სწვდებოდნენ აღმოსავლის წინაპირის კედლებს, დანარჩენი ნაწილი საყდრისა ეკავა საკურთხეველს და სადიაკვნოს, საიდანაც მისვლა-მოსვლა მხოლოდ საყდართან შეიძლებოდა. დღეს შენობის ჩრდილო ნაწილი ნანგრევებშია. იგი ნაჩვენებია ნახაზზე განსაკუთრებულის ხაზებით. გადაკეთების დროს ფუძე ჩაყრილი კარი-ბჭის სამხრეთის შესავალი და კაფოლიკონის სამხრეთის კარი ნაჩვენებია აგრეთვე იმნაირივე ხაზებით.

გამოფენაზე წარმოდგენილ ბაზილიკებში, პროფესორ ჩუბინაშვილის აზრით, ყველაზე ძველია ნეკრესის მონასტრის პატარა ბაზილიკა, მე-IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში აშენებული; ეს ძეგლი უჩვეულოა თავის ფორმებით და საქართველოში დღემდე ცნობილ ძეგლებში ერთად ერთია. ძველ შუამთის მონასტრის ბაზილიკა მიკუთვნებულია მე V საუკუნეს. ამ უკანასკნელს აქვს სამმხრიანი გარშემოვლა სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, რომელიც მოგვაგონებს ნეკრესისას, მაგრამ აქ იგი უშუალოდ მიდის აღმოსავლის წინაპირის კედლამდი და არც ერთი აღმოსავლის აფსიდიც არა აქვს. გამგრძელებელ კედლებში კაფოლიკონს ორი საშუალო განსვლა აქვს. ზედაზნის მონასტრის ახლო (ძირს, მთის ქვეშ) საგურამოს წმინდა გიორგის ნანგრევებში მყოფი ბაზილიკა თავის გეგმაში და შენობის ხასიათში მთელ რიგ თავისებურ ხაზებს იჩენს. ჩუბინაშვილი მე-VIII საუკუნეს აკუთნებს მას. ძველ ქართულ ხუროთმოძღვრების პირველ გამოფენაზე და ეხლანდელზე წარმოდგენილს გარდა კიდევ არსებობს მთელი რიგი კახეთის გამოჩენილი და დიდ ბაზილიკებისა, რომელთაც კვლევა-ძიება და გამოკვლევა ესაჭიროებათ. რამოდენიმე ამათაგანი წარმოგვიდგინა პროფესორმა ჩუბინაშვილმა თავის მე-II ლექციის დროს ფოტოგრაფიის დიაპოზიტივებში, ზოგიც მოცემული იყო თვით გამოფენაზე ფოტოგრაფიებში და სურათებში (მაგ., აყურა, შილდას სასაფლაოს საყდარი).

კახეთის გუმბათოვან საყდართა შორის ყველაზე გრანდიოზულია ა ლ ა ვ ე რ დ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო, რომელმაც მოაღწია ჩვენ დრომდე არა ერთი გადაკეთების და განახლების შემდეგ. იგი მთელ რიგ ნახაზებით იყო წარმოდგენილი გამოფენაზე. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ პროფ. ჩუბინაშვილს, რომელიც ალავერდის საკრებულოს ერთ რიგში აყენებს ქუთაისის ბაგრატის ტაძართან და მცხეთის საპატრიარქო საკრებულოსთან, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები (იშხაანი, ხახული, ოშკი და სხვ)., რომელთაც, ალბათ, ახლობელი დამოკიდებულება აქვთ ქუთაისის საკრებულოსთან. ლექციის მოსმენის და პროფ. ჩუბინაშვილის ფელეტონის წაკითხვის შემდეგაც დაუსაბუთებელი და ბუნდოვანი რჩება მტკიცება, რომ ალავერდის საკრებულო „თავის აღმოცენების დროით პირველია იმ მოგიკანთა შორის, მის გვერდით რომ სდგანან—ქუთაისის ბაგრატის ტაძართან და მცხეთის საკრებულოსთან. ამ რიგად იგი აშენებულია მე-X საუკუნის დასასრულს". ამ ძეგლის დათარიღების საკითხის გამოსარკვევად, ძეგლს, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მეტად საჭიროა რამდენადაც შეიძლება ჩქარა მოიშალოს აღმოსავლეთის წინაპირის გადათეთრება, რათა წაკითხულ იქმნას იქ მყოფი წარწერა.

უფრო ადრინდელ გუმბათოვან საყდართა შორის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, გაზოშვა ნინოწმინდის ნანგრევებში მყოფ თავისებურ საკრებულოსი. ჩუბინაშვილი მე-VI საუკუნის მესამე მეოთხედს აკუთვნებს მას და მცხეთის ახლო მყოფ ჯვრის საყდრის წინამორბედათ სთვლის მას. აღსანიშნავია აგრეთვე ძველი გავაზის ეკლესია (მე-VI საუკუნის შუა დროის), ტეტრაკონხების ჯგუფის. ამ არქიტექტორულ ტიპის თავისებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ატენის ტაძრის გეგმა (გაზომვა და ნახატი კალაშნიკოვისა).

რი ვარიანტია, ინდივიდუალურ განსხვავებათა გარეშე, კისისხევის პატარა ეკლესია უფრო გვიან დაშენებულ გუმბათით (მიკუთვნებულია მე-VII—VIII საუკუნეს). მცხეთის ჯვარის დიდი საყდრის ტიპს ეკუთვნიან ორივე ძველ შუამთის გუმბათიანი ტაძრები; ერთი იმათაგანი წარმოადგენს პატარა გამეორებას, მეორე რამოდენიმედ ვარიანტს იძლევა—არა აქვს კუთხის ოთხკუთხედ ტოტებს შუა მყოფი კამერები. ორივე ეს შენობა ალმოცენდენ, ალბათ, ჯვარის აშენების ახლო ხანში; ჩუბინაშვილი მათ აკუთვნებს მე-VII საუკუნეს.

სრულიად განსაკუთრებულია თავის სილამაზით და თავისებურობით ვაჩნაძიანის გუმბათიანი საყდარი, უდაოთ ერთი ულამაზესთაგანი და ორიგინალურად განზრახული ეკლესია კახეთისა. პირველ გამოფენაზე ივი, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი იყო იმ ნახაზის ფოტოგრაფიით, რომელიც შეასრულა არქიტექტორმა კალაშნიკოვმა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიისათვის, რის შემდეგ იგი განმეორებულ იქმნა ხაზებში უკვე ტფილისში. სწორედ ეს უკანასკნელი ნაწარმოები იყო გამოფენაზე.

კახეთის შედარებით ადრინდელ გუმბათიან ეკლესიებს ეკუთვნის, ალბად, ნეკრესის მონასტრის ერთი საყდარი. ჩუბინაშვილი აკუთნებს მას მე-VIII—IX საუკუნეს (იქნება რამდენიმედ უფრო გვიან დროს ეკუთვნის).

გვიანი, მონღოლთა პერიოდის შემდეგი დროის ეკლესიები წარმოდგენილ იყო ჩიქვანის, ახუგოლის და გრემის საყდრებით. უკანასკნელის კედლებზე დაცულია საფრესკო მხატვრობის შესამჩნევი ნაწილი. ნახატთა შორის შენახულა ლეონ კახთ მეფის კრიტორის პორტრეტი და საინტერესო ბერძნული წარწერა 1577 წლისა.

მეორე თემაზე გადასვლის წინ საჭიროა აღინიშნოს, რომ მცხეთის ახლო მყოფ ჯვარის საყდრის დაწვრილებითი ნახაზი, კავკასიის ისტორიულ—არქეოლოგიურ ინსტიტუტის დახმარებით გამოკვლეული, გამოფენილი იყო ძველ ქართულ ხუროთმოძღვრების პირველ გამოფენაზე: ამ გამოფენაზე კი მხოლოდ სევეროვის ნატურიდან დახატული სურათი იყო. სამაგიეროდ ამავე ტიპის მეორე გამოჩენილი ძეგლი, სახელდობრ ქართლის ატენის ტაძარი წარმოდგენილი იყო გეგმით, ორი განკვეთის სურათით და ოთხი წინაპირით. ამ ძეგლის შევსებული გამოცემა ერთ მორიგ ამოცანას შეადგენს. მან ჯერ კიდევ ძველ ქართულ ხუროთმოძღვრების პირველ გამოფენაზე მიიპყრო ყურადღება (მაშინვე იყო მისდამი მიძღვნილი მოხსენებათა მთელი რიგი მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში). მეორე, რომელიც ამ ტიპთან მხოლოდ ახლო მდგომად ჩაითვლება, პატარა სამწვერის გუმბათიანი საყდარი, უკანასკნელ

დროს კვლავ შესწავლული იყო და მისი ნახაზები ხელახლა შესრულებული სევეროვის მიერ. ამ ორიგინალურმა, ლამაზმა და შედარებით სავსედ დაცულმა შენობამ, ალბათ, შთააგონა მასზედ მომუშავე მხატვარი. სამწვერის ნახაზები განსხვავებულის სილამაზით არიან აღბეჭდილი ამ გამოფენაზე წარმოდგენილ სევეროვის ყველა ნაწარმოებში.

ნაშთების ამავე კატეგორიას ეკუთვნის აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ერთი უშესანიშნავესი ტაძარი, სახელდობრ მარტვილის მონასტერი. მის გეგმაზე სხვა და სხვა ნახაზებითაა ნაჩვენები - ძირითადი მასა შენობისა, რომელიც გეგმით მეტად უახლოვდება ჯვარს, ატენს და ერთ-ერთ ძველ შუამთის საყდარს, თუმცა ზოგიერთ თავისებურ გადახვევით. დაგლეჯილ ხაზებით ნაჩვენებია უფრო გვიან გამონგრეული ნაწილები ძველი ქვითკირისა. გარედან კი გამგრძობი წინაპირები მოქცეულია გვიან გაკეთებულ (მე-XIX საუკუნის შუა დროს) ქვის გარემოცვაში, რომელიც სრულიად სცვლის შენობის გარეგან სახეს (ნაჩვენებია ძეირი ხაზებით). დასავლეთის მხრიდან შემოუხაზავად ნაჩვენებია სამი სხვა და სხვა დროის მიშენება, მათ შორის შუა კარი ბჭე დასავლის შესავალთან ყველაზე ძველია.

აქ ჩამოთვლილ ქართლის საყდრებს გარდა გამოფენილი იყო ორი სრული გაზომვა, ძველ, მაგრამ დიდათ გადაკეთებულ ბაზილიკებისა — ტფილისის ანჩისხატის და ურბნისის — გორის მახრაში. სამი სხვა ძეგლი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ნაწილობრივად შესრულებულ გაზომვით. გორის უკანასკნელ დიდი მიწის ძვრის დროს ნახევრად დაქცეულის რუის ს საკრებულოს დაწვრილებითი შესწავლა და გაზომვაც განზრახული იყო, მაგრამ მომხდარმა ამბებმა შეაჩერეს დაწყებული მუშაობა, რომელმაც მოგვცა მხოლოდ თითქმის გათავებული ნახაზი გეგმისა და გუმბათისა. ზოგი დეტალი, მართალია, აქაც თხოულობს კვლევა-ძიების დამთავრებას. დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ეს ძეგლი, რომელიც მეტად სამწუხარო და საშიშ მდგომარეობაშია ხანამ, ეს არაა დაგვიანებული, საბოლოოდ გაზომილი და გამოკვლეული იყოს. ტფილისის სიონის ტაძარი წარმოდგენილი იყო დამთავრებულ კონტურებში მოცემულ გეგმით. აგრეთვე მხოლოდ გეგმით განუსაზღვრავთ ტფილისის ჯვარის მამის საყდრის გაზომვა, ამ უკვე დაძველებულ და დიდი ხნის წინად დახურულ ეკლესიის. მეტად სასურველია აგრეთვე ამ ნაშთის წინაპირის და განაკვეთის დამატებითი ნახაზების დამუშავება. იგი ეკუთვნის უფრო გვიან ევრედ წოდებულ საგუმბათო დარბაზთა ტიპს, რომლის გუმბათი დადგმულია არა შუა საყდრისაკენ გატანილ ოთხ ბურჯზე, არამედ ფილონებზე, შენობის გაგრძელებულ კედლებთან რომ დაკავშირებულან.

წარმოდგენილი ნაჩქარევი მიმოხილვა გვიჩვენებს თუ რა ძვირფასი მასალაა შეგროვილი გამოსაქვეყნებლად. აღდგენილი ნახაზები საშუალებას აძლევენ იმათაც, ვინც არ ყოფილა გამოფენაზე დაინახონ ის გულმოდგინეობა, რომლითაც შესწავლილია ნაშთები და ოსტატური ხელოვნება მათი აღსრულების. ორივე არქიტექტორი, რომელნიც ასრულებენ თავის ნახაზებს წმინდა ხაზების საშუალებით, უკანასკნელ წელთა განმავლობაში მისულან წმინდა გრაფიკის დიდ მიღწევამდე. თვითეულ მათგანს აქვს თავისი ინდივიდუალური სტილი და წარმოდგენილია ნაწარმოებით, რომელნიც უთუოდ უნდა ჩაითვალონ დიდ მეცნიერულ და ქმედით დაჭიმვის შედეგათ.

პროფესორ ჩუბინაშვილის მიერ გამომუშავებული მასალათა შერჩევის გეგმა აძლიერებს ცალკე მიღწევებს. ვისურვებთ, რომ ეს ძვირფასი მასალები რაც შეიძლება ჩქარა გამოქვეყნდეს სათანადო პუბლიკაციებში.

**დიმიტრი გორდეევი.**

# ხევსურეთი

არა მგონია საქართველოში მოიძებნებოდეს რომელიმე კუთხე ეგზომ საინტერესო და მასთან უცნობი, როგორც ხევსურეთია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მრავალს ჩვენთაგანს არამც თუ არ უმოგზაურია ამ საოცნებო კუთხეში, არამედ წარმოდგენაც კი არა აქვს, თუ ვინ არიან ხევსურნი?

ისინი კი სულ რაღაც 100-200 ვერსზე არიან დაშორებულნი ჩვენზე. ხევსურეთი მკვეთრად განირჩევა საქართველოს დანარჩენ კუთხეებისაგან, როგორც თავისი ადგილმდებარეობით, ისე ეკონომიური ცხოვრების პირობებით.

ეს ჩვენი ტომის ნათესავი მთის არწივნი, დასახლებულნი თვისი თუ სხვისი ნებით კავკასიონის უმთავრეს ქედის ორთავ კალთებზე თერგისა და დაღესტნის ოლქის საზღვრად ირიცხებოდნენ სიმაგრედ და დარაჯად მთელი ტფილისის გუბერნიისა.

გაიკეთეს რა არწივისებური ბუდეები ამ მიუდგომელ კლდეების ფრიალოებზე აქედან ისინი შიშის ზარსა სცემდენ საქართველოს მტრებს.

ხევსურთა მამაცობა, გმირობა და ლომკაცობა მოხსენებულია ისტორიაში. მათი ქება-დიდება მთელ კავკასიაში გავარდნილი იყო.

საკმარისია გავიხსენოთ რაინდული ღვაწლი შატილელ ხევსურებისა, რომელთაც ერთი მუჭა ხალხით დაამხეს 1848 წელს დაღესტნის მთიელთა შეერთებული ძალა, შამილის ნაიბის ახვერდი მაჰმუდის წინამძღოლობის ქვეშ მყოფი. მოწყვეტილ ცივილიზაციის და კულტურის ნასახსაც მათ მაინც შერჩენიათ საშუალო საუკუნეების რაინდული სული და აგრეთვე იმ დროის ტანთსაცმელი და საომარი იარაღი, რომელნიც ჰქრებიან პირისაგან ქვეყნისა.

ხევსურეთში მოყოლა ორი მიმართულებით შეიძლება: პირველი მიმართულებით უნდა წახვიდეთ დუშეთზე, გაიაროთ სოფ. ყვავილი, ეს სამშობლო ჩვენი უკვდავი დანიელ ჭონქაძისა, შემდეგ ცინვალის ხიდით შეჰყვეთ ფშავეთის არაგვს ხეობაში, ბალორონსკარში აუაროთ ს. ჩარგალს, სამშობლოს ჩვენი ვაჟაის და მიადგეთ ორწყალს ე. ი. ორ არაგვს გამომდინარეს ერთს ხევსურეთის ხეობიდან, მეორეს ფშავეთიდან.

ორწყალიდან თქვენ უკვე შესდგებით ხევსურეთის ტერიტორიაზე ხევსურეთის არაგვის მიმართულებით. აქედან იწყება პირაქეთა ხევსურეთი თვის გამოჩენილ სოფლებით: ბარისახოთი, დათეისით, ლიქოკით, ჩირდილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხახმატ-ღულით და შემდეგ სოფ. ლებაისკარით იწყება პირიქითა ხევსურეთი, რომლის უკანასკნელ პუნქტად გამოჩენილი სოფ. შატილი ითვლება.

მეორე მიმართულება ხევსურეთში სამგზავროთ ითვლება ტფილისიდან ერწო-ახმეტა თიანეთზე.

თიანეთიდან ჩადის გზა მაღაროსკარში და ეს გზაც იმავე მარშრუტით მიმდინარეობს ბოლომდე როგორც პირველი.

ხასიათი გზისა იცვლება ორწყალიდან: გზა მისდევს არაგვის ხეობას. სწორი ადგილები აღარ გხვდებათ: სულ აღმართი დაღმართი და ერთი მტკავლიანი ბილიკები და ბეწვის ხიდები, ვიწრო მოქანავენი, ამ ბილიკებით ხან ადიხართ თითქმის ცაში, უფსკრულის თავზე, საიდანაც ძირს



ს. მითხო.



ლუდის გამოხდა.

ძლივს მოსჩანს შავი ხაზსავით შევიწროებული მაღალი ქედებით არაგვი, ხან ეშვება დაბლა მის ნაპირას სადაც იგი მიმდინარეობს ახლა შეშფოთებული გაафთრებული, დიდი აურზაურით და ხმაურით გზის გასაკვეთად. ხან ერთ კლდის კალთებს ეჯახება და ხან მეორეს. და მთელი გზა სულ ამ გვარად და უფრო უარესადაც. როდესაც თქვენ გიხდებათ ქედოთად მინაფალს კიბე კიბე ამნაირ ბილიკებზე ჯორის ან ცხენის კუდს მოეკიდოთ და ისე ახვიდ-ჩახვიდეთ ამ ბუნებრივ კიბეებზე. ან კიდევ ზურგზე წამოეკიდოთ თვით ხევსურს, რომ მან ამნაირ ბილიკზე ზამთრობით უკვე მოყინულზე გაგიყვანოთ გზაზე.

თვით ხევსურებს აქვს გამოთქმული ამნაირი ხასიათის გზების შესახებ ლექსი მიძღვნილი ერისთავისადმი:

ხევსურეთია ბატონო,
ვერ იქამ ერისთობასა,
გაგიწვრილდება კისერი
ვერ გასძლებ ქეეითობასა.

მნახველი და განმცდელი ყველა ამ მოგზაურობის „სიამეთა“ უსათუოდ წამოიძახებს გულუბრყვილოდ:

— ნეტავ ვინ ჩადგა ამათ ცოდოში და ვინ ჩაასახლა ამ ჯოჯოხეთურ ადგილში ეს საცოდავი ხალხი. ან და ნეტავ ვინ მოისხავს მათ მადლს და ვინ დაასახლებს მათ უფრო მისადგომ, უფრო ნოყიერ ბუნების კალთებზე.

რას წარმოადგენს მართლაც ერთის შეხედვით ხევსურთა დღევანდელი ყოფა ცხოვრება და რაში გამოიხატება მათი ჭირვარამი ან მათი თხოვნა მუდარა ჩვენდამი?

უპირველეს ყოვლისა ხევსური შემოგჩივლებთ მიწის სივიწროვეს, რომ მათ აქვთ პატარ-პატარა ნაჭრები მიწისა ისიც მიუდგომელ ადგილებში, სადაც დიდი ვაივაგლახით და გამბედაობით ხნავენ, ნამდვილად რომ ვსთქვათ, სჩიჩქნიან მიწას წყვილ ხარით. ხშირად ეს შრომაც ფუჭად ჩაუვლის ხოლმე, რადგან ნაადრეული ზამთრის გამო ქერი (აქ სულ ქერი მოჰყავთ, პური არ გვარობს) დროზე ვერა მწიფდება და იძულებული ხდებიან საკვები ქერი ან პური იყიდონ ძაუგით (კავკავით).

შემდეგ შემოგჩივლებენ საძოვარ მიწების სიმცირეზე, რის გამო საჭირო რიცხვს საქონლისას ვერ ინახავენ.

სოფლებ შუა მიჯნების უქონლობის გამო დაუსრულებელი შუღლი და ჩხუბი აქვთ, რომელსაც ხშირად სისხლის ღვრა მოსდევს. ხევსური შემოგჩივლებთ მოსაზღვრედ მცხოვრებ ქისტების ძარცვა გლეჯაზე და მოგთხოვთ იმნაირსავე გაუმჯობესებულ იარაღს როგორც ქისტებსა აქვთ. შემოგჩივლებთ გზების გაუმჯობესებაზე, რადგანაც ამ ქამად მათი გზები ყველაზე ძლიერ აფერხებს მიმოსვლის საქმეს.

ეს გახლავთ ხევსურთა საჩივარისა და მუდარის ხმა.

ეხლა გავსინჯოთ ჩვენის თვალსაზრისით რა ესაჭიროებათ კიდევ ამის გარდა ხევსურებს.

მთელ ხევსურეთში პირაქეთ და პირიქით, რომელიც 3000 კომლზე მეტს უდრის, არც ერთი სკოლა არა აქვთ და მათი სწავლის საქმე ვერ არის ჯეროვანათ დაყენებული, აქედან გამომდინარეობს ათასი ცრუმორწმუნოება, უვიცობანი და თითქმის ველური მოპყრობა ადამიანურ პიროვნებისადმი, უპირველეს ყოვლისა დედაკაცისადმი (დიაცისადმი), როგორც თვითონ ეძახიან. „ბოსლობა“-ანუ დედაკაცის მშობიარობის დროს უსუფთაო არსებად აღიარება და მისი სახლიდან ცივ ბოსელში გაგდება ზამთრის შუა გულში – აი ერთი უსაშინელესი ველურობის ადათი დღესაც დაკანონებული ხევსურეთში.

საბრალო მანდილოსანი ცივ ბოსელში სამ ფეხა სკამზე დაუხმარებლად თვითონ შობავს განწირული ბავშვს, ახვევს ტყავში და 7 დღის განმავლობაში ნება არ აქვს, როგორც უსუფთაოს, სახლში შესვლისა. კერძსაც კი ბოსლის კარებიდან აწვდიან.

ან და მეორე მაგალითი ქალის პიროვნების დამცი-



*) ვაჟა-ფშაველა თავის ოჯახში. ხოხით ექიმი შ. ო. ხანდუკელი.

რებისა: შუა-გულ ზაფხულში ხშირად შევსწრებივარ ისეთ სცენას, რომ ხევსური მხართეძოზე წამოწოლილი ჩიბუხს აბოლებს ამ დროს კი ფეხშიშველ ხევსურის დედაკაცს დიდი ტომარა ზურგზე წამოგდებული საფქვავი მიაქვს წისქვილში.

ან და ფანატიკოსურ რწმენით წარმოშობილი ადათი სტუმრის პატივისაცემად: უცხო დედაკაცის მოწვენა და თუ ოჯახში ქალი არ არის მეზობლის ქალის დაძახება და მოწვენა. მართალია უწინ ესეთ მოწვენას „და ძმურ“ ხასიათს აძლევდნენ და მტკიცედაც იცავდენ თურმე კერპი ბუნების ადამიანები, მაგრამ დღეს კი ძლიერ საეჭვო ხდება ასეთი ადათის შედეგები....

მთელ ხევსურეთში არც ერთი საავადმყოფო არ არსებობს და სამკურნალო საქმე თავიანთ „აქიმბაშების“ ხელშია ჩაგდებული.



ხევსურები. სოფ. ბარისახო.

მთელი ხევსურეთი მესაქონლეობას მისდევს და ხევსურული ერბო მთელ კავკასიაში პირველ ხარისხოვან ერბოდ ითვლება, მაგრამ ერბოს ხდისა და ხმარების საქმეც პრიმიტიულ წესით სწარმოებს და აქაც მეურნეობის გაუმჯობესებულ იარაღებსა და მანქანებს ჯერ არ შეუნათებია. მთელ ხევსურეთში, თუმცა გამეფებულია სამღვდელოებისადმი ზიზღი და გულის წყრომა, მაგრამ სამაგიეროდ თავიანთი ხევის ბერ-დეკანოზები ნაკლებ არ უწყობენ ხელს ასეთ უვიცობასა და ცრუმორწმუნოებას და აფერხებენ ყოველივე კულტურისა და ხალხის გათვითცნობიერების წინმსვლელობას. აღარას ვიტყვით სხვა ამგვარივე უკულტურო ადათების შესახებ, როგორც მაგალითად „სისხლის აღება,“ რომლის ძალითაც დაზარალებულ ოჯახს დამზარალებელი შვილითი შვილამდე ყოველწლივ უკლავს აუარებელ საკლავებს და ვერ ამოდის დაზარალებულის ვალიდან, თუნდაც დამზარალებელს სრულიად შემთხვევით შემოკვდომოდა დაზარალებული ოჯახის რომელიმე წინაპართაგანი.

მაგრამ იმ გაუვალ სიბნელე ცრუმორწმუნოებათა შორის არის დადებითი მხარეებიც ამ მთის არწივთა ყოფა ცხოვრებაში. გმირობა, ვაჟკაცობა, თანგანწირვა თვის მოძმისა და ქვეყნისადმი, ფილოსოფიური სიდარბაისლე და სიდინჯე აუჩქარებლობა—აი ქვაკუთხედი ამ დადებითი მხარისა.

თქვენ უნდა ნახოთ დოლი ხევსურთა ზემო აღნიშნულ ერთი ციდა მტკაველიან ბილიკებზე....

თქვენ უნდა იხილოთ თვალწარმტაცი „ფარიკაობა“ ხევსურთა, ანუ როგორც ისინი ეძახიან „კეჩნაობა“-ს ჯგუფობრივ და წყვილ წყვილად მთლად რკინის ჩაჩქან აბჯარში ჩასხმულთა. თქვენ უნდა იხილოთ იარაღის მოხდენილი „ამომღერება“ (ამოწევა) ქარქაშიდან, ხმალ და ხმალ მისვლის დროს.

თქვენ უნდა უცქიროთ ამ მხრის არწივთა პატარა ბარტყების შეილდისრობას, საგმირო დროს ტარებას ლრეობას, მერე ისეთ უდაბნოში, როგორც ხევსურეთია, რომ დარწმუნდეთ ეს ლომ-კაცი ადამიანები ჩამორჩენილი დღეს კულტურის ყველა დარგს და მოწყვეტილნი ამა ქვეყანას, მაინც სულით უდრეკნი და გაუტეხელი დარჩენილან როგორც ჭირში ისე ლხინში.

აქი ლხინშიც იციან თავიანთ „ვაჟკაცობაზე“ ბუბუნი (სიმღერა) ტკბილ ფანდურზე:

ამბობენ ხევსურთ შვილები.
მახევებ*) გავაქციეთა:
წითლებ ყვითლები დროშები.
საძელეს**) დავაყრიეთა
იმაი ნასრევი***) ისრები
იმათაც შავასრიეთა****)

**დავით პავლიაშვილი.**

*) მოხევეები
**) მთის სახელი
***) ნასროლი
****) ვესროლეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაჟას.

მე მთა მიყვარს, მთის მწვერვალი,
მთის ნაფხვრებზე ხტომა მარდი.
ყვავილთ ნოხებს ეკვრის თვალი
აქ არ მეფობს სევდა-დარდი.
მე მთა მიყვარს, მთის გიჟ არწივს
მთის ნიავი მავარჯიშებს,
მე გავენდე ხევ-ხუვს გულცივს,
კლდის ციცაბზე ნახტომ ჯიხვებს.
განთიადზე მთის ნისლებში,
მთის გვრგვინვაში დავიბადე,
გადავშალე რუხ ქსელებში
პოეზიის ჭრელი ბადე.
და აქ, ვაჟავ, შენ ჩაფხუტ-ქუდს
მთის მწვერვალი კვლავ იხურავს:
შენ კვლავ ნამავ გადამხმარ ქუჩს,
მთაც სიცოცხლით შენ კვლავ გწურავს.
კლდის სანგალში ზიხარ იბჯრით,
ჩასაფრებულ ფირალივით
მთაზედ მოყრილ ქარებს ჯავრით
გზავნით თოფვით მტირალივით.—
მე აქ ობლად არა გვრძნობ თავს,
შენ დიდ აჩრდილს ავეკარი,
მე ვდარაჯობ იმ ძეირფას მთას,
სად დარეკე ჯადო ზარი.—
და ჰა, ვაჟავ მომაქვს დეკა
და გვირგვინათ ნაფხვრის ღვია
მთა გიცოცხლოს სულის დედა
ლექსი ცეცხლად დაგელვია.—

**ი. ქარელი.**

# „მხიარული ფინიში".



ილია ერენბურგი.

ოცდა ექვს ნოემბერს ცხოვრება უეცრად შედგა და გამეფდა უსაზღვრო ჯადოქრობა. ჯერ კიდევ წინა დღით საღამოს „ოსვაგი", დოინჯ—შემოყრილი, დიდის ასოებით მხიარულად ანიშნებდა ყველას: „ნუ გეშინიანთ! წითლები უკუგდებული არიანო!", მაგრამ მიუხედავათ ამისა ფედკა პლატოვმა, გამოკიდა პლაკატი და გასინჯა რა თვალებით,—კარგად დავკიდე თუ არაო, მოიტაცა მაგიდიდან ერთი შეკვრა პაპიროსები და რაც იქ იყო ფანქრები და გასწია სადგურისაკენ—იქნებ ღვთით გამიტანოსო! იმ დილასავე დარაჯმა იგნატიჩმა, წაიკითხა რა პლატოვის შემოქმედების ნაწარმოები, ჩუმად ჩაიცინა, ეითომ და შესაფერი სიფრთხილეც მოიხმარა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და „ოსვაგის" პირდაპირ მყოფ თუთუნის სავაჭროს პატრონს გრუშკოს ქალს ერთად ერთი სულ პატარა სიტყვა წაუჩურჩულა—„რევკომი", რომლისაგან გრუშკო კრუხივით აცახცახდა, მწუხარებით ჩაიხუტა გულში პაპიროსის ყუთი, სიჩქარით ჩაიწყო მკერდსა და ლიფს შუა ნიკოლოზის ფულები და ფანჯრებს ხის ფარების მომარჯვება დაუწყო.

ერთის შეხედვით ყველაფერი რიგზე იყო: ოცდა ექვსი რიცხვია, დღეები არავის აურევია, კაფეში „შიკ" ბიჭი ისევე ჰგვის დიდ ზალებს, გაზეთი გამოვიდა, თუმცა უმეტესად განცხადებებით იყო სავსე. სოფლის მეურნეთა დარიგებაც იყო დართული, თუ როგორ უნდა დაიცვა კომბოსტო ჭიებისაგან, თუმცა ეს სრულიად სეზონს არ შეეფერებოდა. და ეს გასაგებიცაა—არა თუ რედაქტორი, თვით გამომცემელიც კარგა ხანია რაც ყვინთავდენ ცენზორის ფბილ ვაგონში, ნელ-ნელა, მაგრამ ნამდვილად კი იპარებოდნენ,—ჭიები კი მწუხარებაში მყოფმა უმცროსმა მეტრანპაჟმა გამოძებნა, რადგან ყოველივე ქალიანს ერიდებოდა—რევკომის შესახებ უკვე იცოდა და ამასთან არსაით გაქცევას არ აპირებდა.

წაიკითხავდა რა თავიდან ბოლომდე გაზეთს, ხალხი შეჩერდებოდა ქუჩაში, თითქოს კომენტარიების მოლოდინში, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ, უკვე დაუფიქრებლად, ყველა ეშურებოდა სადგურისაკენ, სადაც უკვე ქალაქის ყველა პატივსაცემ პირთა ჯერ უნახავი კრებული დარაზმულიყო—რეალურის ინსპექტორი ბუგროვი, მამა ანტონი, ღვთისმეტყველი, იშვიათ ჭკუის პატრონი, სპეკულიანტი გირშფელდი, ამერიკაში უთუოდ მინისტრი იქნებოდა, ჟურნალისტი მომო, დიდათ გაწვრთნილი ბოლშევიკების გენეალოგიის გამოძებნაში, ორიოდე სისხლის სამართლის მაძიებელი, მაკლერები, გილზის ქარხნის პატრონი ბრიუხინი—ეს იყო დიდი თხები, პატივსადები, და ამათ კი უკან მიჰყვებოდა ათასთავიანი ჯოგი, ჩასუქებული ქალები, წმინდანებივით გაშხდარი ინტელიგენტები, ოფიცრები სრულიად არა საომარ ბოხჩებით, ბიჭები, ერთი სიტყვით, ბრბო, პირველების ულიოსი.

ყველა, თითქო მთის აღმართს, აწვებოდა ხალხით სავსე მატარებელს, მალე ყველა ისევ უკან მოგორავდა, რის შემდეგ ხელახლა ეჩრებოდენ—და ასე მთელი დღე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ვაგონები ადგილიდან არ იძვროდნენ: ორთქლმავალი თავისთვის წაეყვანა „ოსვაგის“ უფროსს, რომელიც კლასიან მატარებლით წაბრძანებულიყო მიმალულ ლიანდაგიდან. ბევრი ფეხით წავიდა, ეფლობოდენ თოვლში და უკან, ქალაქისაკენ იხედებოდნენ, სადაც მაინც ხომ დარჩა სახლები, თეატრის წინ ფანარიც სდგას, მაგრამ როგორც კი გაახსენდებოდათ ერთი სიტყვა—„რევკომი“—ისევ განაგრძობდენ თოვლის გორებში ყვინთაობას.

ქალაქში გამწკრივებულიყო „ტელეშკები“ და რა გინდათ რომ ზედ არ იყო!... შტაბიდან გაბერილი კამოდი გამოიტანეს, რისთვის კი არავინ იცოდა, მიათრევდენ ცარიელ ყუთებს, ჩიტის გალიებს, „ვიევსკებს“. ზოგი ბედნიერი, მიაჩეჩებდა რა ვინტოვკიან ჩინოსანს დასტა კრედიტკებს, ჩინებულად ახერხებდა ვაგონში შესვლას, ზოგჯერ გალიებითაც კი, მაგრამ როდესაც სალამოს პირს როგორც იყო გავიდა პირველი მატარებელი, ყველა ხედავდა, როგორ დარჩა დედას სადგურის ბაქანზე პატარა ბიჭი, მის ყვირილზე ვაგონიდან იწეოდა დედა და მხოლოდ ჰაერს და იჭერდა ხელებით. მაგრამ ვინ დათანხმდებოდა თუნდაც ერთის წუთით მატარებლის შეჩერებას, როდესაც იქ, მოსალამურებულ ქალაქში, რომელსაც არ ეჩქარებოდა თავის ნაწევე სანთლების მზგავს ცეცხლების დანთება, უკვე იჩეკებოდა საშინელი „რევკომი“? წავიდა მატარებელი, პატარა ბიჭი გადაქელა ბრბომ, რის შემდეგ მეორე მატარებელს დაუწყეს შეტევა.

დღე მაინც უფრო დამამშვიდებელი იყო, სახლები სჩანდნენ, ბევრ სავაჭროს ვერ გადაეწყვიტა ევაჭრნა თუ არა, თითქოს თვალებს იმშუშნისო, თუ სიცოცხლეს არა, მის გარეგნულ ელფერს მაინც ინახავდა. რევკომზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მას მაინც ვერ გრძნობდნენ. მაგრამ როდესაც დაბნელდა, სახლები სადღაც შთაინთქენ, ვიტრინებიდან გაქრა ფეხსაცმელები, საათები, ძეხვები, ყოველივე, რაც მომაგონებელი იყო იმისა, რომ ეს დასასრული კი არა, ოცდა ექვსი ნოემბერია, როდესაც ყოველივე ჩაყლაპა ნისლმა, წამოვიდა დიდ-დიდი, სველი თოვლი—მაშინ ცხადათ დაინახეს ერთად ერთი—რევკომი.

წითლებზე, რომელნიც ჩრდილოეთიდან მოდიოდნენ (იქნება მუცლის გამომფატრავი ჩინელებია?) არავინ არ ფიქრობდა, ისინი მოდიან ნიაღვარივით, ყველაფერს წალეკენ, მათთან რა გაგივა, შეიძლება სტყუიან კიდეც და წესიერება მოიქეთ, კეთილები არიან, შეგვიწყალებენ. შორეული საქმეა, არც ღირს ამაზე ფიქრი. მაგრამ აქვე, მდინარის გაღმა, მუშათა უბანში აღმოცენებული რევკომი ახლოა და საშინელია თავისი შემთხვევითი ხასიათით: ყველას ერგება ლოტორეის ბილეთის ამოღება. ვინ ზის შიგ? უცნობი მაგრამ უსათუოთ ყველაფრის მცოდნე მსაჯულები, მათ ბევრი რამ აქვთ აღნიშნული უბის წიგნში. ბეწვეულობით ბითუმად მოვაჭრე ტუმინს იქვე ჰქონდა თავის ნოქრის ალექსის, ისე თუ ასეა და მაშ მშვიდობით, რად იყავი ისე სულელი, მისი ცხვირის წინ რად უწყალობე იმდენი ფული თეთრებს და მან კი ჯამაგირი არ მოუმატე. „ერემეევი, ჟურნალისტია, მჯღაბნელი,—ფიქრობდა დამზღვევე საზოგადოების ინსპექტორი ლაზარევი, რომელიც დარჩა ცოლის ფეხმძიმეობის გამო,—მან იცის, რომ მე ყაზახებს ორი ბოლშევიკი ხელში ჩავუგდე, ყველაზე ადრე მე მომაკითხავს,—ფიქრობდა და, არ ესმოდა რა ცოლის ყვირილი,—ტიროდა და ცრემლით უკანა კიბესთან მიყუდებულ ქურქს ასველებდა.

მდინარის იქით ლურსმნის ქარხნის ჭისკართან აულაგებელი ეყარა ოთხი გვამი: ეს ოსებმა გზა და გზა ცოტათი წაითამაშეს, წითლების მოსვლა არავის გაუხარდესო. გარშემო ადამიანები სდუმდენ, სდუმდენ ვიწრო, მაღალი სახლები, მდგმურები, რომელთაც ეკავათ ოთახის კუთხეები, ზოგს მხოლოდ საწოლკები,—უსინათლო სახლები,—არის შიგ ვინმე, თუ ცარიელია—ვერ გაარჩევ. ადამიანები მიყუჩდენ, ოღონდ ხვალამდე გაატანო და გინდა წყვდიადათ იქეც, ხვალ, ხვალ კი—რევკომი! რა არის ეს „რევკომი“, ვინ იქნება შიგ, ეს მდინარის იქეთაც არ იცოდნენ, მაგრამ ამ გაუგებარ სიტყვას სინაზით კი იმეორებდნენ. იქნება, არავითარი რევკომიც არ ყოფილა, მაგრამ იგი მაინც უნდა იქნეს, ამ სველ სისხლით შეღებილ თოვლიდან უნდა აღმოცენდეს, ქარხნის ჭისკართან, რათა ხალხმა საპასუხო ხმა გასცეს სამახსოვროდ ატეხილ სროლას და ხვალ მოათრიოს არჩეულ ადგილზე სულ სხვა ხალხის ათეულები. რაღაც მომაკვდინებლად, არა კეთილად სდუმდა მდინარის იქეთა „სლობოდკა“ და ისმოდა უკან დახეულების სასწრაფო სროლა.

ღამე ახლოვდებოდა. ქალაქიც დაჩუმდა, მიტოვებული ყველა იმათაგან, ვინც ვაჭრობდა, კამათობდა, ვალიუტისათვის დარბოდა კაფეში „შიკ“, კითხულობდა, მხიარულობდა, სწერდა, მართავდა ლექციებს „რუსეთის აღორძინების შესახებ“ და ყოველდღიურ ვარამით სიცოცხლეს ჰგვრიდა ამ მოსაწყენ ქუჩებს. შორს, მატარებლებზე მოწოლილი ბრბოს სასოწარკვეთილებას ვერ იტანდა და ღმუოდა სადგური, და მის ხმაში მკაფიოდ ისმოდა უკვე საშინელი ხრიალი დარჩენილთა, გასრესილთა და დავიწყებულთა.

„ოსვაგის“ ფანჯრები მოთხრილ თვალებივით გამოიყურებოდნენ. იატაკზე ჩამოხოჩებულიყო რუქა. მხოლოდ ორი დაწესებულება ცოცხლობდა და არ ეძინა—კონტრმზვერავთა, რომელიც მოთავსებული იყო სასტუმრო „ვენეცია“-ში და ღამის კაბარე, ოფიცრების, არტისტების და სპეკულიანტების საყვარელი ადგილი, რომლის კარებზე მხატვარს დაეხატა მარკიზა ვარდით და იყო წარწერა: „მხატვრული სარდაფი მხიარული ფინიში“.

ღამის მუშაობით დაღლილს კონტრ მზვერავთა სიამაყეს, როტმისტრს ალექსანდრე სტეფანეს ძე როსლავლევს შუადღის შემდეგ გაეღვიძა და მხოლოდ ხუთ საათზე ტელეფონით გამოეხმაურა „ვენეციას“.

ტელეფონთან მივიდა კორნეტი მილოვი და უნუგეშო რამ გადმოსცა: ევაკუაცია დაგვამთავრეთ და, თუმც უშუალო საშიშროება არ სჩანს, მაგრამ ქალაქში პანიკაა. ისე სჩანს, რომ ხვალ გავდივართ. სწორი ცნობებია მიღებული, რომ „სლობოდკაში“ შესდგა ადგილობრივი რევკომი. საჭიროა წასვლამდე მისი ლიკვიდაცია. ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ როსლავლევმა გაიზმორა და გაისწორა თავზე თმა, რომლის მოვლა და სპეტაკი შუა ხაზი განთქმული იყო მთელ პოლკში, რის შემდეგ, როგორც ყოველთვის, გასწია კაფე-„შიკ“-ისაკენ. იქ არავინ იყო, მხოლოდ ლაქიამ რაღაც საშინლად გადახედა როსლავლევის ბრწყინვალე პოგონებს, თუმცა მას როგორც საუკეთესო სტუმარს იცნობდა. „რატომ არაა დღეს მუსიკა?“ ლაქია მთლად დაიბნა და ძლივს წაილუღლუღა: „როგორ იქნება, თქვენო აღმატებულებავ! რევკომია!“ როტმისტრმა მხიარულად გაიღიმა: „რას მიჰქარავ! მალე მოსკოვს ავიღებთ!“ და უბრძანა მოერთმია ფინჯანი შოკო-

ლადი. „მაგრამ მის სულში მხიარულება აღარ იყო — მაშ ისევ უკან დახევა, ისევ სამგლოვიარო ხმები, დარჩენილთა ავი გადმოხედვა, უკან კიდევ ტყვიებს მოგაყოლებენ, ახალი შეჩერება — ერთი კვირით, ერთი თვით, და მერმე დასასრული, რა კარგია იგი ბრძოლის დროს უმტკივნეულო, შეულანძღველი. არავითარ მოსკოვის რწმენა როსლაველევს არ ჰქონდა და ომში ჩაება გაუმაძღარ კაცუნების, ეტრადიციო, უდროში, უდეზო მახინჯების წინააღმდეგ აუტანელ სიძულვილის გამო. მაგრამ ასე არასოდეს შეუწუხებია იგი უილბლობას, როგორც დღეს: არა მარტო რუსულ ქალაქს სტოვებდა იგი, არამედ კიდევ ერთ სახლს სპასკიზე და იქ ეზოში, შელებილ იატაკებიან ოთახებში, მოქსოვილ ხელსახოცებით და ძველებურ სავარძლებით — სტოვებდა ნატალია ნიკოლოზის ასულ ბობროვას, არა, სიმართლე სჯობს, უბრალოდ — ტალიას, ერთად ერთ ხანმოკლე, შემწყალებელ სიხარულს ექვსი წლის ომებში, სისხლში, სისხლისგან ისეთ მოწყენაში, რომ შეუძლებელია გადმოცემა, რომ აი ეხლაც მზადაა ევაკუაციის მაგიერ აქვე იატაკზე მაგიდის ქვეშ გაწვეს და დაამთქნაროს — მხოლოდ ლაქია ვერ გაიგებს, გაგიჟდება. მალე როსლაველევი სრულიად მოიშალა, უნდოდა ტალიასთან წასვლა, მაგრამ გადაწყვიტა, რადგან სიმართლეს ვერ დავუმალავ, მხოლოდ გავაწვალებ, ისევ სჯობია ხვალ წასვლის წინ მივალ, ეხლა სჯობს გავმაგრდე, — დაზევერვის დრომაც მოატანა.

ნიკოლაევის ქუჩაზე გავლის დროს როსლაველევმა ყვავილების მაღაზიის ფანჯარაში დაინახა შუშაზე მიყრდნობილი მაღაზიის პატრონი ქალი და გულმოდგინეთ დაარახუნა. გაუღეს, მაგრამ ახალი ყვავილები არ იყო, მხოლოდ ნახევრად დამჭკნარი ხრიზანტემები იყო. სასტიკის კილოთი უბრძანა მან ეხლავე წაეღოთ ყვავილები სპასკიზე. „არავინ არა მყავს, ყველანი შიშისაგან გაიქცნენ“, წუწუნებდა ქალი, მაგრამ რევოლვერის დანახვაზე სადღაც გაქრა, და იმავე წუთში გაჩნდა ბიჭი და წაიღო უზარმაზარი თაიგული: იშვიათი გამვლელები, აქა იქ ქუჩაზე რომ გარბოდენ, შიშით შეყურებდენ ვარსკვლავისებურ თეთრ ყვავილებს, როსლაველევიც შეყურებდა მათ — თითქმის კუბოზე მისატანი თაიგულია, არყოფილ, დასაწყისშივე ჩაკლულ სიყვარულის წესის აგებაა. რაოდენი სიხარული შეიძლებოდა ყოფილიყო იმ თეთრ ოთახებში სპასკიზე: ბიცოლას ზურგს უკან მოპარული კოცნა, წერილები, მერმე ჩქარი მატარებელი მიაქროლებს მათ გურზუფისაკენ და ვერ არჩევ ტალღები თუ ტალია კვნესის... ღმერთო ჩემო, და ყველა ამის მაგიერ — დამჭკნარი თაიგული, „მშვიდობით“, და გაქცევა, ცხენის ტორის ყოველი დარტყმა იძახის: „საუკუნოდ!“...

სევდით მოცული მიდიოდა როსლაველევი და, როდესაც ბოლოს მიმოიხედა და ვაერკვია, თუ სად იყო, — ხელში შერჩა პატარა ბიჭი, ყურებიანი ურია, პაპიროსების გამყიდველი. სიძულვილი ყელს მოაწვა; აი ამ ტალახიან, თმა ხუჭუჭა, ყურებ დაცქვიტულ, ჩიტ-ცხვირა და საძაგლად ენა გამოგდებულებისაგან დაიწყო ყველაფერი, ამათი წყალობით აღარაა არც რუსეთი, არც სიხარული, არც ტალია. და გაუქნია რა მუშტი, გადაისროლა ბიჭი თოვლში, გაუტეხა მას ცხვირი და გაისისხლიანა ხელთათმანი. „შეხედეთ? იწყება“, თავისთვის წაიბუტბუტა კუთხეში მდგომმა სტუდენტმა და ჩქარი ნაბიჯით გასწია. ბიჭი ყვიროდა, ხტოდა და იტყვირებოდა. მოზიზღაროვით გაისროლა ხელთათმანი: „ქვემძრომები! ისკარიოტები!“ როსლაველევი მშვიდათ, გარკვეულად გაემართა დაზვერვისაკენ.

„ვენეციის“ გაბინძურებულ ნომრებში სიცარიელე და სრული გაუგრანება სუფევდა. როგორც აგარაკი მარიამობისთვეში, — გაიფიქრა როსლაველევმა. ეყარნენ პაპიროსის ნაწვავები, გაზეთები, „საქმეების“ პაპკები, რაღაც ცუდი ლურჯი ფურცლები, გატეხილი საწერი მანქანა. როტმისტრმა შეიხედა მე-23 ნომერში, სადაც წინედ უფროსის კაბინეტი იყო. კედელთან ხის სკამზე დაინახა ხელოსანი, თითქმის ჩაძინებული, განგმირულ თავით, მტრედის ფერი შპალერი და გენერლის პორტრეტი უხვად მორწყულიყო სისხლით. „ეს არაფერი, — აუხსნა კორნეტმა მილოვმა; ლურსმნის ქარხნიდანაა, ფურცლები ვუპოვეთ. მთავარი — რევკომია. — „საძაგლობაა, — წაიბურდღუნა როტმისტრმა, — წაბილწეს მთელი ქვეყანა, და გაეიდა მეზობელ ნომერში, სადაც პორუჩიკი გოლოეჩანი კოოპერატივის თანამშრომლის კურიცინის დაკითხვას აწარმოებდა: „მიპასუხე, შე მამა-ძაღლო, იყავი თუ არა გუშინ კრებაზე? — „არა, ბატონო პორუჩიკო, აბანოდან პირდაპირ შინ გავსწიე“. — „თქვენ შინჯეთ მაგაზე თოფის საწმენდები“, — დაუძახა გალიზიანებულმა როსლაველევმა, და გაიხმო მილოვი, რომ მისგან მიელო ცნობები რევკომის ბინადრობის შესახებ. „იმედი ნაკლებადაა, — გამოტყდა კორნეტი, — კავშირი აღარა გვაქვს. თქვენ როდის მიხვალთ?“ — „ხვალ დილით“ — „მე კი შტაბით დღეს. თუ რაიმე გავიგე თორმეტამდის, გაგაგებინებთ“. — „კარგი, მხოლოდ სახლში არა, დღეს არ დავიძინებ, „ფინიშში დამირეკეთ“. და აღარ დაუცდია სანამ ნაყვავილევ კურიცინს „გაუშვებდნენ გასავალში“, როსლაველევი გაეიდა და სიცოცხლის ერთ კერისაგან სამარისებურ ქალაქის ქუჩებით გაემართა მეორე კერისაკენ, სახელდობრ „მხიარულ კაბარეში ფინიშში“.

კაფეს პატრონს, ბერძენს ლივიდოპულოს, უნდოდა მიეხურა თავისი დაწესებულება, რევკომის შიშით, მასთან დენიკინის ფულებიდანაც ის არაფერს გამოელოდა. მაგრამ ხუმარა ესაულის თხოვნებმა და ზედ დართულ საკმაოდ მძიმე ნაგანის შიშმა დასძლია, და გაჩაღდა მხიარულება. ბევრ რამის მომსწრე იყო „მხიარული ფინიში“, მას უნახავს, გვარდიელმა როგორ დააგორა კუპლეტისტი კოროლკოვი საეჭვო აქცენტისათვის, კორნილოველებმა და ყუბანელებმა რადის შესახებ კამათი როგორ გადააქციეს ხელჩართულ ბრძოლად, მზვერავმა შტალგარტმა როგორ უყო ლიკვიდაცია ადვოკატ სერგეენკოს, როდესაც მასში ბოლშევიკური სული იგრძნო, — ტყვილა კი არაა დამსხვრეული ყველა სარკეები, ჭერი დაცხრილული — მაგრამ მსგავსი საღამო ჯერ არ ყოფილა, ეს საღამო კი არ იყო, არამედ ქალაქის, მდინარის გაღმა მხარის სადგურის, რევკომის წინ ჯადოქარობა.

მოვიდენ თავზე ხელაღებულები, ნახევრად შეშლილები, ყველაფრის უარის მყოფელნი, რათა ჩეკამდე შრომის ბევრიან საბჭოთა კატორღამდე, სიკვდილის წინ უკანასკნელად წაიქეიფონ, ისე რომ ცამ დაიქუხოს, სროლით, მემუსიკეების სახეში ნასროლ ბოთლებით, ქარზე გადასროლილ ყველასათვის უვარგის საფულეებით.

კიდეზე მდგომ მაგიდას უსხდნენ: ოპერეტის მსახიობი ქალი ზელმი კავალერით. ისინი ჩაის დიდ ჭიქებიდან სვამდენ — ყველა პატარა ჭიქები დაამტვრია ესაულმა და თან სწყევლიდა ომის ზურგში მყოფ გამცემლებს — ბენედიქ-

# ტროცკი სუხუმში



ტროცკი ზღვის პირად.



ტროცკი ისვენებს.

ტინს, და ზელში დროგამოშვებით ისტერიულად წამოიძახებდა: „დაიკარგა ყელსაბამი ლომბარდში, თქვენი სიყვარულის გამო დაიკარგა, აი რა უნდა გითხრათ!" კავალერი სულელურ და თან ტრაღიკულ სახით, ილიმებოდა და ეუბნებოდა: „მე კი ხვალ დამხვრეტენ". უკან ხმაურობდნენ ოფიცრები, ვალიუტჩიკი ტიგელი, ქალაქის თეატრის ინჟენიუ ვერსევა თავის მოტრფიალეებით და სხვები, რომელთაც როსლავლევი ვერ იცნობდა.

როტმისტრი დაჯდა კუთხეში, მოითხოვა პორტვეინი და სარკეში დაუწყო მზერა მხტუნავ ფიგურებს: თამაშობდნენ, ურტყამდნენ პიანურის დამკვრელს, კოცნიდნენ ერთმანეთს. ტიგელი ოთხ ფეხივით დაძრობოდა ვერსევას ფეხებში. რაც უფრო ჩქარა სვამდა როსლავლევი, მით უფრო სიჩქარით ხტოდნენ ფიგურები, სახეები უკვე აღარა სჩანდა, მხოლოდ ფეხები-ღა იყო, და სადღაც ზემოთ თმა მოსჩანდა, შლიაპის თავი და ვაჟკაცურად გადაგრეხილი ფაფახი. მემუსიკეები რაღაცა გამოუთქმელად სევდიანს, გრძნობის ამშლელს უკრავდნენ. „მშვიდობით სამუდამოდ, მშვიდობით, მშვიდობით!" მეორე ბოთლის შემდეგ, როსლავლევი სულ მოიშალა, მძიმე სიმთვრალე ფეხებს ვერ უჩერებდა, თავს კი უმძიმებდა, სადღაც შიგნით სქლად აწვებოდა. ხელოსანი არ სცილდებოდა თვალთაგან — „მეც აი ისევე ნომრებში, ჩეკისტი გაუთამაშებს ჩახმახს, ჩავბარდები ჯანდაბას, ფუი, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ყოველივე ეს საძაგლობაა, წაბილწული ძპალერი, სიმყრალე, რარაობა!"

მესამე ბოთლის დროს მიუახლოვდა როსლავლევს ორდინარეცი და გადასცა მას კორნეტ მილოვის წერილი: „გწერ სადგურიდან. მხოლოდ ეხლა გავიგე კურიცინის დაკითხვიდან, რომ რევკომის თავმჯდომარეს ათანასე ჰქვიან, გვარი არ იცის, ალბათ სახელიც გამოგონილია, საშუალო ტანისაა, თავზე თმა გაყოფილი აქვს, ცოტა ელამია, ქვედა ტუჩის ძირში დიდი ნიშანი აქვს. შესაძლებელია, რომ ის ამ საღამოს „ფინიშში" იქნება. ვწუხვარ, რომ არ შემიძლია დარჩენა, გისურვებ გამარჯვებას".

როსლავლევმა წერილი წაიკითხა — „ელამი, ნიშანი, რანაირი მზგავსებაა!" გაუარა მას უეცრად თავში, მაგრამ აზრი არ დაუმთავრებია, — ფიქრები მოუსვენრად უტრიალებდნენ თავში, ვერც კი დაიჭირ. ხარბად დაიწყო ჭიქებით სმა, და მხოლოდ თვალით ანიშნებდა ლაქიას, „კიდევ!" მემუსიკეები კი უკვე რაღაცა მხიარულს უკრავდნენ, თითქოს ალიზიანებდნენ მას, როტმისტრს ჯავრი მოსდიოდა — „ესენი რას დაგიდევენ, სულ გასასრესია წყეულები!" ვიღაც მღეროდა „ქვეშა კუპჩიხების მოწონება და ცეცხლია ახალგაზრდა სუმის გუსარიო", — „კიდევ მეცინიან, — რის კუპჩიხები? სად არიან ისინი? რევკომი! ნიშანი! საძაგლობა!" უეცრად გაიხედა სარკისაკენ და დაინახა სწორედ ის ათანასე, ის საძაგელი აშკარა ელამად მოსჩანდა და მასთან თავიც კი არ შეუწუხებია, რომ ნიშანი დაემალა.

მედგრად, მაგარი ნაბიჯით მიუახლოვდა როტმისტრი მეზობელ მაგიდას, სადაც მღეროდნენ კუპჩიხაზე და სთქვა: „ბატონო ოფიცრებო, აქ ამ მომენტში იმყოფება რევკომის თავმჯდომარე. მე მაქვს მისი ნიშნები, რომლითაც ადვილად გამოვიცნობ მას. კეთილ ინებეთ არავინ გაუშვათ გარეთ". მხიარულად, რევოლვერების ტრიალით გაეშურენ ოფიცრები კარებისაკენ, მემუსიკეებმა ვერც კი მოასწრეს „ტანგოს" გათავება და კუთხეებში მიიმალნენ, რაღაც ბოროტება იგრძნეს, აიშალენ. „მოდიან!" — „ვინ?" — „რევკომი!" — „სტყუი, ეს — მზვერავებია". — „მზვერავები რევკომს ეძებენ". როსლავლევი კი უვლიდა მაგიდებს, ნელა დაბეჯითებით უკვირდებოდა ყველას სახეში და წინ ჩრიდა მავ ლუდას. „ეს შენა ხარ!" უძახოდა ზელში კავალერს: „ესაა, ეს, ჩემი რა ბრალია!" „ის" ილიმებოდა და ვერ იცილებდა ღიმილს, გახარებული იჯდა. ტიგელი აპირებდა ლიუსტრაზე შეძრომას. ყვიროდნენ, დარბოდნენ, ლოცულობდნენ, იხვეწებოდნენ, როსლავლევი კი სულ წინ მიიწევდა, ულმობელი, იგი მრავალთა შორის ერთს დაეძებდა. და როდესაც მან შემოიარა ყველა კუთხეები და ათანასე ვერ იპოვნა, ყველა ახალმა შიშმა შეიპყრო — აქ რევკომი იმალება, ეხლავე თავს წამოყოფს, დაგვიჭერს, ცოცხალს არ გაგვიშვებს!..

დაღლილი როსლავლევი გასავალისაკენ გაეშურა,

მაგრამ სარკიან კარებიდან ზიზღით და ცივად გადმოხედა მას ნიშნიანმა სახემ. „ეხლა კი ვერსად წახვალ!“ და როტმისტრმა გაისროლა: ჩამოცვივდნენ სარკის ნამტვრევები, ხელში ისტერიულად ყვიროდა. პორუჩიკი კრილოვი, რომელმაც მთელი საღამოს განმავლობაში მხოლოდ ერთი ბოთლი კონიაკი დალია, მიხვდა, რომ აქ საქმე ცუდათაა, და ალერსიანად უთხრა: „თქვენ დაიღალეთ, ნება მომეცით მე გავსინჯო დამსწრენიო“. როტმისტრმა უსიტყვოდ გაუწვდა მას ჩილოვის წერილი, მანაც უსიტყვოდ წაიკითხა იგი და, წაკითხვის შემდეგ, უცბად გადახედა როსლავლევს – გაყოფილი თმა, ელამი, ნიშანი—უთუოდ ტანისამოსი გამოუცვლია საზიზღარ ჩეკისტს!.. კიდევ გაისმა სროლა, მაგრამ არა სარკისაკენ. ძირს დაეშვა როტმისტრი როსლავლევი, ფეხით წამოედო ბოთლებიან მაგიდას და ერთი საშინლად შეხტა იატაკზეც.

„ბატონებო, დროა გზას გაუდგეთ!“—დაიყვირა კრილოვმა და ფეხი ჰკრა როსლავლევის თავს. მაგრამ მაღლიდან, კიბეზე ოფიცრებისაკენ მოგორავდა ბერძენი კაფეს პატრონი: „გვიანღაა! ალყა შემორტყმული ვართ, ქალაქში რევკომია!“

ი. ერენბურგი.

# სანდრო ეული (ს. ქურიძე)



სანდრო ეული.

ღარიბი გლეხის შვილი გურიიდან. ბავშვობიდანვე ეთხოვება მშობლიურ კერას. 13 წლის ის ეზიარა დაქირავებულ შრომას, პირველათ ჩაქვში, შემდეგ ბათომში, ფოთში და ბოლოს ბაქოში. ბაქოში ის პირველათ გაზეთის დამტარებელია, შემდეგ მუშაობს შოლარის წყალსადენზე, ბალახანის ელექტრო სადგურის მუშათ და რკინის გზის დარაჯათ. ამ უკანასკნელ თანამდებობიდან მას ითხოვს რკინის გზის ჟანდარმერია, როგორც საეჭვო პიროვნებას. რევოლიუციონურ მუშაობას იწყებს სკოლიდან 1905 წ. ის იღებს აქტიურ მონაწილეობას მოწაფეთა გაფიცვაში, რისთვისაც მას სამოქალაქო სასწავლებლის მაშინდელი ინსპექტორი მუხნიცკი სასტიკათ სჯის.

1910 წლიდან ის მუშაობს ბაქოში, 1913 წ. მას იჭერენ ამხ. ფ. მახარაძესთან და სხვებთან ერთათ. 1917 წ. მუშაობს ქ. ტფილისში. 1920 წ. მას მენშევიკური მთავრობა იჭერს და აგზავნის ქუთაისის ციხეში, აქედან კი ბათომის ციხეში, სადაც მას უსწრებს საქართველოს გასაბჭოება. მიუხედავათ მძიმე პირობებისა ის მაინც ახერხებს საშვალო ცოდნის შეძენას. ლექსების წერა დაიწყო 12 წლისამ. პირველი ლექსი დაიბეჭდა „ეშმაკის მათრახ“-ში 1908 წ. მის შემდეგ ის განუწყვეტლივ მუშაობს ლიტერატურულ ასპარეზზე. ლექსების გარდა სწერს მოთხრობებს და პიესებს. გამოცემული აქვს ორი წიგნი: „რევოლიუციის საყვირი“ და „ქარხნის ტრიუმფი“, იბეჭდება მესამე წიგნი ქართულათ, ითარგმნება მისი საუკეთესო ლექსები რუსულ ენაზე.

# ჩათახის ქარხანა*).

(ნაწყვეტი პოემიდან: ახალგაზრდა საქართველოს)

დღეს საქართველო
იზეიმებს
ჩათახის შობას
და ტფილისს
ანდობს
პირველობას,
რომ ატკბოს ლხენით,
ტფილისი თმენით
ვერ გაუძლებს
შორეულ დღეებს
და აასრულებს
შესაფერათ
მინდობილებას.
წინღამით ქალაქს
აქვს მზადება
ნდომა, ხალისი.
სულის მაისის
განმტკიცება
მან სცნო დროულათ.
რწმენას ფარულათ
არ იწონებს,
ცეცხლათ რომ იწვის,
რის სული ილტვის
და იმონებს

*) იხ. „დროშა“ № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძლიერთ ამ ქვეყნის“.
დღეის დილისთვის
აქვთ ბრძანება
ყველა შოფერებს:
„ავტომობილებს
მოედანზე
თავისუფლების
მიართმევთ მგზავრებს
ჩათახისაკენ“.
იქ მათ მოალხენს
შრომის შვილი
ბენო რკინელი.
დღეს დედა ქალაქს
გული უცემს
ახალი ჟამის:
თუჯის და რკინის
ნეტარებით,
ტრფობა-სიამით.
არ გავს ძველ ტფილისს
ძველ დროებას,
ორბელიანის,
როს შეთქმულები
სახლს არბევდნენ
ბაქბეუქოვის
აჯანყებულებს,
რომ უძლოდა
ჟანდარ ყაზარა
და სილნალელი
მიკიტანი,
სისხლი რომ ღვარა.
ახალ ტფილისის
მეთაური
არის ხმაური
მილიონების,
ადრიან დილით,
რომ აღვიძებს
ტკბილის ზმორებით.
თავისუფლების
მოედანი
ელის ბელადებს
მიხას, ფილიპეს
მალაქიას
სერგოს და კოტეს
ბუდუს, მამიას
მიშას, შალვას
და კიდევ სხვებს,
რომ მიაგებებს
მათ სამგზავრო
ავტომობილებს;
ერთს, ორს
ათს და ოცს.
ჩათახი ელის
ძვირფას სტუმრებს
და თავის შობას
მათ ახარებს
და ანეტარებს
შრომის შვილებს
შრომის ზეიმით.
საქართველოსაც
ეს იმედი
ჰქონდა დიდი ხნით.

**სანდრო ეული.**

...სახ. ...ბიბლიოთეკა ...თბილის

# „ველური“ და „ლეკის ქალი“

კაპრის კუნძულიდან მოსცურავს გემი ნეაპოლისკენ.

ჭრელი ხალხი, წვრილმანი ხალხი ფუსფუსებს ბაქანზე.

შახიანი კაპიტანი ცეცხლოვანი თვალებით მისჩერებია ერთ რუსის გოგონას.

მზეზედ დაბრაწულ გოგონასაც როგორა ჰშვენის თვალებათ ორი საბუდარი ყორნისა!

სამხრეთის უკურნებელ ეშხით იწვის მისი თამამი ბუნება.

ქვეშევრდომს ცივი რუსეთისას უფრო შეჰფერის დედოფლობა მგზნებარე სამხრეთისა.

მას ყველა უძახდა ცივნის დედოფალს.

ერთმა კი დაარქვა—ლეკის ქალი.

---

და ის ერთი დგას განზე. მარტოკა. თავის თავთან.

მისი აზრი სწყვეტავს ქვეყნის ბორკილებს და გადასტყორცნის სამყაროს უძიროობაში.

შეანგრევს მსოფლიო საიდუმლოებათა რკინის კარებს, რომ იხილოს იქ სხვა კარი ფოლადისა—უფრო დიდი, გაუტეხავი...

ზღვის ძირიდან ამომხდარი განგაში თავის სიმღერათ ეჩვენება. გიჟურ და ლამაზ სიმღერათ, რომლითაც შეიჭრება დიად ქმნათა ნათესაობაში.

დედამიწაზე ყველაფერი მხოლოთ ერთი დაკვესებაა ადამიანს კი მეტისთვისაც არა სცალია.

---

ლეკის ქალი ველარ იტანს მარტოობას, მიდის მასთან.

— გეყოფა ველური მარტოობა!

— ლეკის ქალო! შენ აკი გამიწყერი!

— გავიწყერი, მაგრამ ველარ მოვითმინე, მაინც მოვედი.

— შენ გიყვარს ცეცხლი, რომელიც გწვავს.

— შენ ველური ხარ! დაუკეშავი ნადირი ხარ! როცა მოგიჩვევს კაცი—კარგი იქნები.

— მაშინ შეგძულდები.

— არც ეხლა მიყვარხარ.

— მაინც კარგი ხარ ლეკის ქალო, მაგ სიტყვის შემდეგაც!

— მე არ დამავიწყდება წარსული ღამე!

— მე მეჯავრება წარსული ღამე!

— რათა? შენ კმაყოფილი უნდა იყვე!

— გამარჯვების ხელში ჩამბღუჯი—შენ დამამარცხე.

— შენ შეურაცხყოფა მომაყენე! შენ ველური ხარ ნამდვილი!

— მე გაგალმერთე ისე როგორც არავინ.

— კარგია შენმა მზემ, უცხო ქალის გულში ჩაკონება მოულოდნელათ!

— დედამიწაზე ვინცა ცხოვრობს, ყველი ჩემთვის ნათესავია. ის ჩემთვის უცხო აღარ არის, ვისაც მივსწვდები.

— ველურო, ველურო! აღიარე მაინცა შენი დანაშაული!

— დამნაშავეა ჩემი სიშმაგე, შენი სილამაზე! დამნაშავეა მარტოობა, ღამე, ზღვა! დამნაშავეა კლდე, რომლიდანაც ჩამომიყვანე! დამნაშავეა კაპრის კუნძული, იტალია, მთელი სიცოცხლე!

— რათ მოსწყდი შენ ქვეყანას?

— რომ შევხდე ლეკის ქალს კარპის კუნძულზე.

— პირველათ ვხედავ შენისთანა ლაღ ადამიანს.

— მაშ ქვეყანა ღარიბი ყოფილა?

— მე არ ვიცნობ ქვეყანას კარგათ.

— ჩქარა დაგავიწყდება ყველაფერი ეს, ჩემო ლეკის ქალო!

— შეიძლება არასოდეს.

— ვენეციამდე წამომყე მერე კი თავისუფალი იქნები.

— მე ეხლაც თავისუფალი ვარ.

— მაშ გამშორდი!

— წამოდი მოსკოვში!

— მე მიყვარს რუსეთი რევოლიუციური, თავისუფალი. ისე კი ახლოს არ გაგეკარები.

— მაშ რათ მეპატიჟები ვენეციაში? რა გინდა ჩემგან?

— სანმარკოს კოშკზე ავიდეთ ერთად. გონდოლაში ჩავსხდეთ ერთად. მტრედებს ვაჭამოთ ფეტვი ერთად...

— მერე?

— ეგ არის ჩემი წუთიერი ნატვრა. მე ვიყავი ვენეციაში მარტოკა. სისულელეა ვენეციაში მარტოობა. წავიდეთ, ავანაზღაუროთ ეს დაკარგული სილამაზე!

— არ ვიცი. შეიძლება წამოგყვე. შეიძლება არა.

— მიეჩვიე სიგიჟეს და სილამაზეს! მოგებული იქნები ცხოვრებაში.

— თუ ვენეციამდის მუდამ შენთან ვიყავი, იქნებ უარესიც დამემართოს.

— ნუ თუ იტალიიდან ისე დაბრუნდები, კოხტა გოგონა, რომ ერთი კაი მოგონება არ წაიღო შენ ტოლებში!

— მე ვნახე კოლიზეუმი, სანპიეტრო, აპოლონი და ნიობეა. მე ვნახე პიზის კოშკი და პომპეი...

— ეგ შებორკილი სილამაზეა, რომელსაც იხილავ ყოველთვის. მაგრამ შენისთანა ლეკის ქალს სჭირდება ზღაპარი, ზღაპარი განუმეორებელი. რა მიგაქვს იტალიიდან?

— ...წუხანდელი თავხედობა ველურისა!

— ეგრე ცოტა?

— როგორც პირველი ტვირთი — ეგეც მეძძიმება.

— ცოდოა ორი ახალგაზრდა ადამიანის ერთად დგომა ასე ამაოდ.

— მაშ რა შეგვიძლია!

— როგორ თუ რა შევვიძლია!

აქ ველური შმაგათ დასწვდა ლეკის ქალს ხელში და ტყვედ ქმნილი გაიტაცა გემის ბოლოზე. მიმოავლო უძლები თვალი კიდიდან კიდეს და შემოსძახა მქუხარე სიმღერა.

ეს იყო გიჟური, ლამაზი, უცნობი სიმღერა საკუთარი სიმღერა.

ეს იყო ქუხილი ლომისა უდაბნოში.

ეს იყო გალვიძება ზღვისა.

ეს იყო სადავე აწყვეტილი თარეში ზვიადი ადამიანისა, რომელიც მაღლიდან გადასცქერია მარადისობის წუთობით კვებას და არავის არ ეპოვება მთელ სამყაროში მარტოთ მდგომი.

ხალხი, ანგარიშში ჩაუგდებელი ხალხი ხარბათ მისჩერებია ველურსა და ლეკის ქალს.

რაღაცა იგრძნეს ლამაზი და ძლიერი.

გათავდა სიმღერა.

და ნიშნად თავის მიწაზე დგომისა ველური დასწვდა ლეკის ქალს მკლავში.

ქალმა იკივლა და აღშფოთებით გამოტრიალდა.

— ლეკის ქალო! ნუ თუ ვენეციაში აღარ წავალთ! ერთად გონდოლაში! ერთად კოშკში სანმარკოსი...

ლეკის ქალი ყურს არ უგდებს.

ხალხი გაცოფებულია.

წუთისოფელში არაფერი მომხდარა გასაკვირი.

ველური მობრუნდა უკან დარჩენილ ზღვისაკენ და შემოსძახა ისევ თავის სიმღერა.

---

კაპიტანმა ველარ აიტანა.

მიდის ველურთან და იწვევს დუელში.

— თანახმა ვარ მხოლოდ იმ პირობით თუ ამაღამ ერთად ვიქნებით. დილაზე კი — დუელი.

---

იქ, ზღვის ნაპირად, მეზღვაურების ყავახანაში დიდებულათ იქეიფეს კაპიტანმა და ველურმა.

იქეიფეს.

დაძმობილდენ.

დუელიც დაავიწყდათ.

შუაღამისას კი ეს ორი ახლად ძმად გაფიცულნი განშორდნენ ერთმანეთს, შეიძლება სამარადისოდ.

ველური ჩაჯდა პომპეისაკენ მიმავალ უკანასკნელ მატარებელში.

მანამ დაიძინებდა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი სამყაროს ბედ-იღბალს:

ყველაფერი წესზეა: მნათობთა სრბოლა. ანთება და ჩაქრობა. შობა და სიკვდილი.

იგი სამყაროს ჩვეულეა განკებისაგან დაყენებული.

რა მოკლეა გზა, სადამდისაც მიაღწევს მატარებელი!

ნეტავ ლეკის ქალი რაღასა ფიქრობს!

ნუ თუ ვენეციას ველარ ნახავენ ერთად?

ბორბალი ნიაგარის ელექტრო სადგურისა ისევე სწრაფად რომ მუშაობდეს, როგორც ფიქრები ველურისა, მაშინ ქვეყანას მხეც აღარ დასჭირდებოდა.

რა პატარაა დედამიწა, რომლის გაცნობასაც ვერ ეღირსება ადამიანი.

რა პატარაა!

---

ლეკის ქალმა როგორ გაატარა ღამე — ეს საიდუმლოებაა, მისივე.

მეორე დღეს დილით კი თავის სამ ამხანაგთან ერთად გაემგზავრა ვეზუვისაკენ.

ფუნიკულიორის ზანტმა ვაგონმა შეუმჩნევლათ აიცურა იგინი ცეცხლის მქშინავ მთის წვერზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკის ქალმა ერთი თვალის გადავლებით შთანთქა მთელი სილამაზე გარემოსი.

მაგრამ არა!

ყველაზე მიმზიდავი თვით ხახაა ვეზუვისა. იქ უნდა ჩაჰხედოს, იქ, ქვესკნელის სიღრმეს, საიდანაც მოისმის განგაში დედამიწის გულში დაგროვილ ამბოხებისა.

ლეკის ქალი ჩააშტერდა ძირს, ეძებს ამოცანას იდუმალობის და რასა ჰხედავს!

ძირს, ხახაში, უფსკრულის ნაპირად, რომლის იქითაც აღარა სჩანს რა—გდია ველურის ქუდი.

ველურის ქუდი!

ვეზუვის ხრამში!

ნუ თუ ქვესკნელში ჩაღუპვით უპასუხა ლეკის ქალს თავის წყენაზე!

ის მართლა ველური ყოფილა, გიჟი!

რა საშინელია! რა გონარეული სილამაზეა ქვესკნელში ჩაღუპვა ახალგაზრდა კაცის, რომლის ჟინიანი კოცნაც იუკადრისა ჩემასთანა გიჟმა...

აქ უნებლიეთ წატორტმანდა ლეკის ქალი, მაგრამ ტოლები ჩქარა მიეშველენ და გადარჩა ხიფათს.

მაგრამ იმნაირი ქუდი შეიძლება სხვასაც ჰქონდეს. რაღა უეჭველათ ველურისა იქნება.

და მიჰყავთ ამხანაგებს ლეკის ქალი ამ იქეით ნუგეშ ნაცემი.

პომპეის მხარეს დაეშვენ.

ახალი გზით სიარული სჯობიან:

ცოტა მეტ რამეს შეიძენს კაცი.

რამდენი საათია მოდიან თავდაღმართზე.

მუხლებამდის იფლობიან ზაფხულის მზით გახურებულ სილაში.

აგერ ჩამოუარეს ვეზუვის ფერდზე გაშენებულ პირველ ვენახებს.

ლეკის ქალს მეტი აღარ შეუძლიან.

სხვა დროს ყველაზე ყოჩაღი—ყველაზე ადრე დაიღალა ეხლა.

ვეზუვის ქვესკნელში დაწიალობს იმისი სული. ძირს კი მხოლოთ ლანდათ ეჩვენება თავისი თავი.

ვეზუვის ვულკანზე ყოფნის ადათი იმათაც უნდა გაიზიარონ.

უნდა იგემონ იქაურ ვენახეულობის საგანგებო ნიმუში „ლაკრიმა კრისტი“.

დაქანცულები შედიან ერთ მევენახესთან და... თითქოს მიწამ გული გადიპო მოულოდნელათ.

კუთხეში ზის ველური და გულმოდგინეთ შეექცევა „ლაკრიმა კრისტის“ მეორე ბოთლს.

ყველას სიხარულის ალმა გადაჰკრა,

ლეკის ქალი თითქოს გაშრა და მერე იფეთქა როგორც ვულკანმა.

— ველურო! შენ ცოცხალი ხარ! მე კი ვეზუვის ქვესკნელში მეგონე.

— და გეწყინა, რომ ცოცხალი ვარ! ჩემი სიკვდილი უფრო ლამაზათ გეჩვენა ვულკანის გზნებაში განა? ეხლა კი...

— მაშ ის შენი ქუდი არ არის?

— ჩემია..

— რათ ჩააგდე იმ ხრამში?

— უნებურათ დამრჩა. იმისი ჯავრი აღარა მქონდა. მე თვითონ ძლივას გადავურჩი სიკვდილს.

— როგორ? განა მართლა გელოდა ხიფათი?

— უფსკრულის პირათ ბეწვზე ვეკიდე.

— მითხარი რათა?

— შემირიგდები?

— განა შემიძლია არ შეგირიგდე?

— ოჰ, ლეკის ქალო! რათ დამდევ გიჟი რაშით უკან! და თუ არ იშლი, მაშ მომყე უფსკრულის პირამდის! ნულარა ზომავ მიწის ზურგს სიფრთხილის ნაბიჯით!

— მითხარ, რა გინდოდა ვეზუვის ხახაში?

ველურმა გაუწოდა კოხტა ხელისოდენა შავ სიპის ქვა.

— აი ეს ქვა მინდოდა. ზევიდან მოვკარი თვალი. გამიკვირდა, რა უნდოდა ვეზუვის ფერფლში ამოდენა ქვას. იგი იშვიათ რაღაცათ მომეჩვენა. მომინდა მისი ამოტანა, ვულკანის სიღრმეში ნაპოვნი ქვა შეუძლია მთელი სიცოცხლის სანახსოვროთ ატაროს შენისთანა გიჟმა და იქნებ მემკვიდრეობითაც გადასცეს საშეილიშვილოდ.

„რა არის „ბრიტიჩ მუზეუმის“ ბრილიანტი ამ ქვასთან შედარებით. იმ ბრილიანტისთვის მე ვულკანში არ ჩავალ. ეს ქვა კი რაღაც საგანძურათ მეჩვენა შენთვის.

— შენ უცნაურ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული.

— პირველივე ჩემი ნახტომი გამბედავი იყო. მივუახლოვდი ქვას. დავბღუჯე. წამოვიწიე ზევით, მაგრამ ფეხქვეშ უეცრივ ნიადაგი მეცლება. სილა სულ ქვევითა და ქვევით მიიწევს. ველარაფერს მოვეჭიდე. მივცურავ ხახა დაღებულ უფსკრულში საშინელი გუგუნი ქვესკნელისა თავბრუს მახვევს. იქიდან აღმომხდარი ბოლი სულს მიხუთავს

„უკვე ვგრძნობ, რომ უნდა მშთანთქას დედამიწამ თავის სიღრმეში. სიამაყეც კი განვიცადე ელვის სისწრაფით, რომ სამარეთ ვულკანი მექნება და ყვავილების მაგიერ ჩემ საფლავიდან ოდესმე ცეცხლი იქშინავს.

„ნიადაგი უფრო ძირს მიიწევს. ზეკაცურის სიმძიმით ჩავებღაუჭე მიწის სიღრმეს. დათითხილი ლომივით მოვიწევ მაღლა მუხლებამდის და იდაყვებამდის ჩაფლილი რბილ სილაში.

„როგორც იქნა ვსძლიე წერას. ამოვედი. გადავურჩი. ეს ქვა კი ხელში დაბღუჯული მაინც შემრჩა. მაინც შემრჩა.

— როდის მივდივართ ვენეციაში?

— ხვალვე.

— მოსკოვშიც წამოხვალ?

— თუ ყველაზე ძლიერი შენ გამოდექი ჩემთვის, რატომაც არა?

— ეს ქვა ხომ ჩემია?

— შენია, სანამ სხვა სილამაზე არ დაჩრდილავს მაგის მოპოვებას.

— მე მიპატიებია შენი ხალისული ქცევა, თუ შემდეგში ალაგმავ თავს.

— როცა ლეკის ქალი აღარ იქნება ძუ ვეფხვად, რომელიც სიხარბით შესტრფის ხვადი ვეფხვის გიჟურ ფაფარს, მაშინ მეც წესიერი ვიქნები.

— შენ სწორე ილებ მიზანში ჩემ სისუსტეს...

— შენ სილამაზეს ქარიშხლოვანს, ცეცხლიანს, ვულკანიურს.

— ჩვენ დიდ ხანს არ გვიწერია ერთად ყოფნა.

— რაც ვიყავით, ისიც მოვებაა ბედის კაპათთან.

— მაშ ხვალ ვენეციისკენ!..

— ...ერთად გონდოლაში! ერთად სანმარკოს კოშკზე!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ უდაბნოდან მოვარდნილი ურაგანი ხარ! მე ვენდობი შენ დამღუპველ ქროლვას!

— ოჰ, ლეკის ქალო! ნეტავ როდის მომაგონდები უკანასკნელად ჩემ სიცოცხლეში!

— მე კი გულზე მივიხუტებ ამ ქვას, ზურგშიაც გესვრი, როცა დაიმსახურებ. და მოგეხდება კიდეც, თუ სამარეში არა ხარ სადმე.

---

საღამოა ვენეციაში.

კეკლუც შავ გონდოლაში სხედან ორნი:

ველური და ლეკის ქალი.

გამოცდილი მენავე ფეხზე დგომით უსვამს ცალ ნიჩაბს. თავისებურია და უცნაური მისი შეძახილი არხიდან არხში მოსახვევად.

— ხომ შესრულდა შენი ნატვრა? ხომ ვართ გონდოლაში ერთად?

— ჰეი, გონდოლიერა! შეაჩერე სანმარკოს მოედანზე! ნავი შეჩერდა, ორთავე გადმოვიდენ.

— ეხლა კოშკზე ავიდეთ!

— რასაკვირველია! მაშ ვენეციაში რისთვისა ვართ?

ცოტა ხნის შემდეგ ორთავე გადასჩერებიან სანმარკოს კოშკიდან ვენეციის ზღვასა და ხმელეთს.

— ესეც შენი სანმარკოს კოშკი!

— ჩვენ სულ მარტონი ვართ.

— თავისუფალიც.

— ქვეყანას ზევიდან დავცქერით.

— არ გეშინია ლეკის ქალო?

— რად უნდა მეშინოდეს! თუნდ კოშკიდან გადამაგდე ვით სტენკა რაზინმა ირანელი სატრფო.

— უნდა გვახსოვდეს ეს ადგილი ჩვენს წუთისოფელში.

აქ მშაცი ნადირივით დასტაცა ხელი თვალებ ანთებულ ლეკის ქალს, შეათამაშა ჰაერში და შემდეგ მის ბრინჯაოდ ნათალ მკლავს დასწვდა მშიერი ლომის კბილები.

— მხეცო! ველურო! ბარემ დამგლიჯე უდაბნოში მოთარეშე ნადირივით.

მაგრამ ველურს არ ესმის.

იგი ლოთურათ გასძახის თავის გიჟურ სიმღერას.

ძირს სანმარკოს მოედანზე ხალხმა გამალა სული და კოშკის წვერს მისჩერებია.

ველური სჭექავს და უტევს საერიშო ჰანგებით ვენეციის სიწყნარით მიძინებულ სივრცეს.

ფოლადის ზარივით გაისმის იმისი ხმა მაღლიდან, ყველგან. და ლეკის ქალიც გასისხლიანებული მკლავით გიჟურათ გადაეხვია ვულკანიკით გახელებულ ველურს.

— წავიდეთ! ჩვენ აქ არ გვედგომინება!

— შენ გეშინია მეტი სიგიჟის! მეტი სილამაზის!

— მე ფეხ ქვეშ მეცლება ნიადაგი, როგორც შენ— ვეზუვის უფსკრულში.

— წავიდეთ! მე გადაგარჩენ!

ჩამოვიდენ.

რა ფეხი გამოადგეს კოშკიდან, ხალხმა იცნო იგინი და ტაშის ცემით შეეგება.

ყველა სახარბიელო ნეტარებით მისჩერებოდა ამ ორ ქორორა ახალგაზრდას.

იგინი გრძნობდენ თავიანთ გამარჯვებას. შეუყვარდათ ხალხიც ამ წუთიერ სიკეთისათვის და ყველას თვალებით გაცილებულნი მოეფარენ სანმარკოს მოედანს.

—:—

— რაც შენ შეგხვდი, მე აღარ ვგრძნობ მიწას ჩემ ფეხ ქვეშ.

— რაც შენ შეგვხვდი, მე მომემატა სუნთქვა და მკვლავებსაც განივრათა ვშლი.

— რა გინდა ჩემგან? რათ დამატყვევე?

— მე ეხლავე გაგანებებ თავს.

— არა! მოსკოვში წამო!

— ეს პატარა ქვეყანა იქ უფრო პატარათ მომეჩვენება.

— შენ ტყუილათ მიძახი ლეკის ქალს.

— მაშ რისთვის დავგლიჯე შენი ბრინჯაოს მკლავი,

— მაშ წამო მოსკოვში!

— წამოვალ, თუ არ გეშინია მომავალისა.

— მე მზათა ვარ ცეცხლისა და ქარიშხალისთვის.

— წუთზე ხანგრძლივი სიამოვნება რაღა უნდა მომანიჭო, შე უგონობის კლდიდან გადმოფრენილო არწივო!

— როცა მოგბეზრდე, მე მაქვს ერთი ფინური დანა. წავიდეთ ტყეში შუაღამისას და იქ გამიპე მკერდი.

— მაგას ვერ ჩავიდენ.

— მე თვითონ ვიზავ.

— შენი ბედისწერა არა გავს სხვისას.

— შენ დამანახვე რაღაც ახალი.

— მე ცაში ფრენასავით მეინტერესება უკანასკნელი წუთი შენთან ყოფნისა.

— აჰა, წაიღე შენი ქვა, და ეგ წუთი ეხლავ იქნება.

— არა! ეგ ქვა შენია, სანამ ზურგში არ მესვრი.

— მაშ წამო მოსკოვში!

— მოვდივარ! წამო!

—:—

შუაღამეა.

ვენისაკენ მიმავალი ჩქარი მატარებელი უკვე მზათ არის.

მგზავრებმა ჩამოირიგეს ადგილები.

ლეკის ქალს ლოდინში მიეძინა.

ორი ხელი თავ ქვეშ დაედო და შიშველი ბრინჯაოს მკლავები აქეთ-იქით გადმოეყარა.

ერთ მათგანზე აშკარათ მოსჩანდა უცნაური ჭრილობა, მაგრამ თუ მზეს არა რცხვენია თავის სინათლის, ლეკის ქალს რათ უნდა რცხვენოდეს თავის მკლავების.

ველურიც იქავე ტრიალებს.

ნეტავ როდის უფრო ძლიერი იყო მისი ღელვა! ვეზუვის უფსკრულში ყოფნისას თუ ეხლა, მიძინებულ ლეკის ქალთან?

ასეთი ძლიერი მკლავი, ასეთი გრძნეული და ლამაზი მკლავი ჯერ არ უხილავს არსად.

ეს მკლავი ეხვევა მას. ალრჩობს, ათრობს, იმონებს.

ეს მკლავი ეწევა ანდამატივით სხვა მხარეს, სხვა ცხოვრებაში.

ეს მკლავი ნატრულობს მის მკლავთა ჩაბოჭვას, როგორც ნორჩი მუხის ტოტი მეორე ტოტში.

რა არის ამ წუთისოფელში ყველაზე მპყრობელი, ყველაზე წარმტაცი?

ორი წუთიც კიდევ და მატარებელიც დაიძვრება.

ველური დაიხარა ლეკის ქალთან.

ის გამხეცებული ლომი იყო ამ წუთში.

ის გრძნობდა თავის სისხლში, რომ ყველაფერი შეუძლიან ჩაიდინოს. .

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებელი შეირყა.

ველური შეარყია რაღაც ვულკანიურმა ქრაუნტელმა.

ნაზად გაუსვა ხელი ბრინჯაოს მკლავზე აწითლებულ ჰრილობას და გამოეშურა სასწრაფოდ.

ლეკის ქალის ამხანაგმა თვალი შეავლო ველურს.

— სად მიდიხართ ველურო?

— შორს!

— სად მიდიხართ ველურო? მატარებელი დაიძრა!

— მრავალი ხალხი, მრავალი ქვეყანა მიწოდებს თავისკენ მე მივდივარ იქ, რაც უფრო ძლიერია ამ მკლავებზე.

— სად მიდიხარ ველურო?

— მე მინახავს მხოლოდ ერთი ვულკანი, მაგრამ კიდევ არის ეტნა ტენერიფ, სარატა! მე არ მიბანავნია ნილოსის წყალში და არ მომიკრავს თვალი უდაბნოში მონავარდე ლომისთვის. მე სადღაც აჯანყებაში მომელის გმირული მონაწილეობა.

— ლეკის ქალი არ გენანება?

— რომ გაიღვიძოს მესროლის ქვა! მესროლის ქვა დაჭრილი ხელით!

— ველურო!

— ჩემო ლეკის ქალო გზა დამილოცე! იქნება შევხვდეთ დედა მიწის მეორე მხარეს!..

ლევ. მეტრეველი.

# ომი სასახლეებს.

ქუჩას ერთიან ნაბიჯებს ახლის,
ხმა ნაპირებს მოხევს,
მოისმის ახლოს: „მშვიდობა ქოხებს—
ომი სასახლეებს".
დაკარგეს ფასი: ძველმა სიტყვებმა—
მათ ვისაც მეფისთვის გული უცემდა,
და ღირსეულად ვისაც მიყვება
რესტორანებში დიდი მუცელი.
შენ დანით სიტყვა თუ ამოაგე,
ისეთი კაცის ძარღვებთან დანით,
რომელსაც შემდეგ ჩეხო-სლოვაკი
გაუხდა მონად გულით მადანით.
ხმა ამოიღეს ხომ ზარბაზნებმაც,
აფორიაქდა იქამდე სხვენი,
არავის ახსოვს დღეს დარბაზობა—
bien, gut, ასე ეს კარგი ქენი.
დაეცა ისევ ნაბიჯი ქუჩას,
როგორც მოსკოვში ისე ნევაზე,
სასახლე ბრაზით ხან თვალებს ხუჭავს,
ხან ფიქრებია ატირებაზე.

II

მათ გამოხედვაც არ უხარიათ,
რადგან მათ თვალებს დარდი ადუნებს,
ამიერიდან ქედს არ უხრიან—
ბატონებს.
წარღვნის ზვირთივით იმართებიან,
მუშათა რიგი მილიონები,
გადასავლელი თუმცა მთებია
არა გვაქვს ძველი მოსაგონები,
ეხლა გაბედე და თქვი უარი,
გაიპარსები შენ როგორც თეფში
და დღეს ბანკებში საქმე თუ არი—
ხვალიდან წახვალ ემიგრანტებში.
დღეს თუ პოზაში
გევხარ ნაპოლეონს,
ხვალ იქნება ბოზაში
და აი საბოლოო.

III

გაშლილ მინდვრებში სადაც ხის კანებს
მშიერი ჭამს და თანაც კანკალებს,
მხარეში სადაც იყო დარდები,
მწერლის ტირილი და ხანდრეევი
სადაც თითოულ ღენერალს,—თავში—

გაუძახოდა „ომს ვაშა, ვაშა"
და სევერიაგა იგორ იქამდე
ომის საქებრად ლუდს ბოთლით სვამდა;
იქ ნაბიჯები გამოჩნდნენ ახლოს
და რისხვის ხმები იყო ზოგ-ზოგად,
ავანიავოთ უნდა სასახლე,
„ავანიავოთ" იყო ლოზუნგად.
გადაიფრინა საზღვარი ტაშით,
ეფეთებოდა გზა ბარიერად—
და დამწყვდეული როგორც უჯრაში,
ასე იზრდება—ახალი ერა.

IV

ძველ ქვეყანაზე უარესია,
უკანასკნელი ძალით შეტევა,
ბარიკადების იქეთ მხარეზე,
უფრო ძნელია თავგამეტება.
აქ უკანასკნელ ფენამდე გაწყდა,
უცებ მისტიკის უსაზღვრო განცდა,
და ნავთსადგურში მშვიდათ თუ იცდით
ისიც ფეთქდება ალბად ფაშისტით.
უცებ მოვიდენ ღენერლები
და ძალიან ბევრი პოგრომის ხალხი,
გახსნეს თავიანთი პირი—რევოლვერები
დაიწყეს ყვირილი ყალყი.
დაიწყო მუსაიფი თავისი ჯერით,
დაიწყო ლაპარაკი მოკლე და იარაღით,
პროტესტს აცხადებს მშიერი
—გააჩერეთ.
პროტესტს აცხადებს დევნილი
—მათრახით.

V

ო შეიძლება ბევრი რამ ითქვას,
რაც დაუკერებს პერანგებს გლახებს—
ხუთი წლის წინად პიტერში თითქოს
ეკატერინეს ატლასი ნახეს.
ვინც ასეთ ფიქრებს გამოეკიდა,
აბრეშუმებზე ყველა დალონდა,
ბატრაკი მოვა ამერიკიდან
და ის გაცვეთავს ვინტოეკის კონდახს.
— მე თქვენ დამისვრით უნაზეს ბატისტს
და გაიცინებს აქ ტომი—ატკინს.
თუ გაცინება გსურთ დაიჩემოთ —
მაშ წინ გასწიეთ ერთხმად ბიჭებო!
და როგორც მივლენ ქალაქ ლიონში
მოციქულები ახალი ქვეყნის
მათ შეაწუხებთ სუნი ვანილის
რაც ნიშანია ბანკირთან შეყრის.

VI

ახალი ქვეყნის ფიქრი გვამბოხებს,
და ჩვენ გულის თქმას ხელს ვერვინ ახლებს:
ძველი პროგრამა: „მშვიდობა ქოხებს,
და სიკვდილამდე ომი სასახლეებს".

**პ. ნეზმანოვი.**

# რუსული პროზა.

## I. ილია ერენბურგი.

თავისი პირველი სასწაულის მოვლენით—პუშკინით—რუსული პროზა უკვე ევროპის დახვეწილ სტილთა სიმფონიაში შედის. დიდ-ტანიან ინგლისურ „საოჯახო რომანის“ ბატონობის დროს საკვირველია პუშკინის ტაციტისებური ლაპიდარობა, მისი დასრულებული მოკვეთილი ოსტატობის გენია. რუსული ენა მასში იღვიძებს ისეთის ძალით და მოჰარმებულ დუღილით თითქოს ყველა თავისი ხმების ერთად მოსმენა სურს. „ბელკინის მოთხრობები“ და „პიკის ქალი“—რადიოაქტიურობით სავსე ტანაგრის ქურქლებია. პუშკინის პროზამ მოხიბლა პროსპერ მერიმე, რომელიც თავის ნოველლებს სცენურ კოშკებივით აგებდა, რომ მისი ავტორობა და ადამიანობა არსად გამოჩენილიყო. ესთეტიურმა მომენტმა აქ სიყვარულით ჩაკირა ატეხილ ჰარმონიის პირველი სალამური გალის კათოლიკურ სკეპსისთან და მგრძნობელობასთან. პუშკინმა მისცა რუსულ პროზას სტილის კონსტიტუცია, უანდერძა მას ის შესაძლებლობა, რომელიც მთელი საუკუნის დიდ მდინარეებს ეყოთ სათავედ. გოგოლის სიცილი, ბოლოს გოიას კლიტით ჩაჭედილი, ტურგენევის სილამაზე, დოსტოევსკის წვალება (надрыв)—იმალება პუშკინის გენიაში. გერმანის სახე „ჩემი სინიდისის ტირილი“ ვედრება „ღმერთო, ნუ მომასწრებ სიგიჟეს“, თავმჯდომარის სადღეგრძელო („ჭირიფი ჟამიანობის დროს“)—ეს დისჰარმონიული ხმები—დოსტოევსკის სინიდისის გენიის პირველი, ჯერ კიდევ უხვი მზით განათებული ამღვრევაა.

დიდმა მე-XIX საუკუნემ უმძაფრესი ინტელექტუალური დიფერენციაცია გამოიწვია. დაიკარგა ძველი ელლინისტური სინტეზი, საშუალო საუკუნეთა რელიგიის მონისტური ტერორიც სასიკვდილოდ დასჭრა საფრანგეთის რევოლიუციამ, გაჩაღდა აზრის, სილამაზის, სოციალურ და ყოველგვარ ბრძოლის ლაბორატორიების განცალკევებული და გააფთრებული მუშაობა. მაგრამ საერთო კავშირის გარეშე ხანგრძლივი ყოფა შეუძლებელია: დრო და დრო კაცობრიობა სწირავს თავის რჩეულებს სინტეზისათვის. იგი ცდილობს მათში შეადუღოს საუკუნეში გაბნეული წუხილი მთლიანობის. მას უნდა გამეფებულ გათიშვის ქაოსში ვისიმე ძლიერმა ჭკუამ და სინიდისმა გამოისყიდოს საერთო ცოდვა სიცალიერისა. ასეთი დიდი სინტეზისათვის წამების მიმღები არიან—ფლობერი, ტიუტჩევი, დოსტოევსკი, ილია ჭავჭავაძე.

დოსტოევსკი—ახალი რუსეთის ინტელექტუალური და ეტიური სინტეზია. იგი ბაზაა, რომელშიაც მოქცეულია რუსეთის თავისებური და განუმეორებელი ისტორიის ტკივილები. ევროპიულ რომანის ტიტანები—ბალზაკი, ფლობერი, ზოლა—მე-XIX საუკუნის სოციალურ ყოფის არქიტექტორებია, რომელთაც მარმარილოს გრანდიოზული „კაცთ კომედიის“ შენობები ააგეს. ისინი ეძიებდენ თავის დროის ადამიანის გარემოს, წვრილმან ვნებებს და მემკვიდრეობის კანონის ხოლებს. დოსტოევსკი, ალბად, უკანასკნელი გენიაა, რომელიც შექსპირივით თავის გრანდიოზულ სულს ჰყოფს გამძაფრებულ პიროვნებათა რიგად და მათ პორტრეტებში ტიციანის მედიჩების ძალით გვაძლევს ხან ჩაადაევს (ივანე კარამაზოვს), ხან განდევილს (ზოსიმას). იგი რუსეთის რევოლიუციის წინასწარმეტყველადაა აღიარებული, მაგრამ ივანე კარამაზოვი თითს თითზე არ დაჰკრავს ქვეყნად ცის მეუფების დამყარებისათვის, რადგან მას არ სწამს ჰარმონია, თუ ერთი ბავშვიც კი სტირის სადმე—და ასეთ ჰარმონიაში შესასვლელ ბილეთს დიდის მოწიწებით უკანვე უბრუნებს ღმერთს. ქრისტეს მოჩვენებამ სამუდამოდ გაბზარა დოსტოევსკის სული და შიგ დაასადგურა ადამიანის ბუნების დაეჭვება და გაორება.

თანამედროვე კაცობრიობამ აპოკალიპსის დღეები ნახა. ალბად, არც ბიბლიის რყევებს ჰქონდა ჩვენი დღეების დაუდგრომელი პათოსი და ჯერ კიდევ დაუცლელი პოტენცია. დიდმა გრიგალმა გადაურა რუსეთს, დაიმსხვრა ესთეტიზმის კანონიზაცია, დიდმა ქმედითმა რღვევამ დაასამარა მისტიურ-ანარქისტული, დეკადენტური „მე“-ს გაუთავებელი და მტკივნეული ანალიზი.

„И наконец увидишь ты,

. . . . . . . . . . . . . .

„Что через край перелилась
Восторга творческаго чаша,
Что все уж не мое, а наше
И миром утвердилась связь.

(1912 წ.)

ბლოკი მოელოდა, რომ რევოლიუცია გარდაქმნიდა ადამიანს. იგი საერთო სულის ფერისცვალების წინ გრძნობდა თავს. ბლოკი მწვერვალამდის აყვა საშინელ და მაღალ დღეების აღმართს. და იქ სკვითურ მაგრამ ჰარმონიით სავსე ყიჟინით დაითრო სული. „თორმეტი“ კიდევ იმითია საკვირველი, რომ მოვლენათა ცეცხლშია დაბადებული. ბლოკი არ ყოფილა რევოლიუციის „თანამგზავრი“, როგორც პილნიაკი და ერენბურგი. მასში რევოლიუცია ყოველთვის იყო და მაღალ ყვავილად აღმოცენდა იგი „თორმეტის“ ქარში.

სულ სხვა ბუნებისაა ილია ერენბურგის შემოქმედება. მისი ცხოვრების და მწერლობის გზა ნაწყვეტებისაგან შესდგება. ევროპის კაფეებში მუდმივი მოხეტიალე, უნივერსალურ ბოგემის წევრი, ერენბურგი თავის პროტოტიპს ჰპოვებდა წინად ფრანსუა ვიონში, რომლის „პატარა და დიდი ანდერძი“ ცინიკურ ჰამლეტის მონოლოგებია. ერენბურგი სპობს ტრივიალურ თარგმნების ტრადიციას და „წყეულ პოეტების“ მომდევნო პოეტების ინტიმურ სახეს გვაძლევს თავის „საფრანგეთის პოეტებში“. რევოლიუციამ შეაწყვეტინა მას რითმიული სიტყვა და აზიარა პროზას.

თუ ბლოკი განსახიერებაა ალიოშა კარამაზოვის და ჰკოცნის რუსეთის მიწა, ერენბურგი გაამერიკანებული ივანე კარამაზოვია, ფელეტონის ფილოსოფოსია, ახალი ვარუხ სპინოზა. მისთვის სულ ერთია რომელი ქვეყნის ქარია მის გარშემო. მიწა მას არც კი უნახავს. მიწა მისთვის კაფეს ბეტონის იატაკია. მას არა სცხია რა რუსეთის ლიტერატურის დიადი იდეალიზმის. ერენბურგმაც განიცადა რევოლიუცია, მაგრამ მისი განცდა ნივთიერი სენსუალიზმია, იგი არ ელის რევოლიუციის ცეცხლისგან სულიერ გარდაქმნას, იგი ხარბადაა მოწყურებული ახალი ქვეყნის მხოლოდ ნივთიერი პლანის ნახვას, მისი ჯერ უჩვეული „კომფორტის“ ყნოსვა ეჩქარება. ერენბურგი თავის მიწას არსად არ ეყუდნის. რუსეთი, მისი რევოლიუცია, მისი სფინქსის სახე მას დიდათ აინტერესებს, აღელვებს კიდეც, მაგრამ თითქოს „უცხოელს“. რასაკვირველია, ერენბურგი არა ჩვენი დროის სინტეზისთვის რჩეული. თანამედროობა, ალბად, ჯერ კიდევ შორსაა საამისო არჩევანისაგან. ჩვენ ჯერ კიდევ მეტად დაგლეჯილი ვართ წინააღმდეგობათა ამბოხებით. მაგრამ ერენბურგი უსათუოდ ერთი მიჯნაა იმ ჰარმონიის გზისა, რომლის მოჩვენებულ ბოლოში ჩვენი დაწყვეტილი დღეები ნახავენ მიუწდომელ სინტეზის დიდ მორიგ ილიუზიას.

**ალი არსენიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლატავრა

## ტრაგედია 5 მოქმედებად *)

**მოქმედება მეოთხე.**

იგივე სცენა, რაც მეორესა და მესამეში იყო.

I.

**Inkubus და ყაფლან.**

**Inkubus.** მისმინე, ყაფლან!
გამოცდილი კაცი ბრძანდები.
ომში ნაქები და სუფრაზე გულგადაშლილი!
დაგვიწყებია მეგობრობა! აღარ მკადრულობ!
**ყაფლან.** რად ბრძანებ მაგას?
**Inkubus.** გარწმუნებ, რომ გული შემტკივა!
ო, რა დროებას ვატარებდით!
გული შემტკივა, ვფიცავ სინიდისს!
მე ეს ქვეყანა ისე მიყვარს, როგორც სამშობლო!
ლატავრასათვის მე მზად ვიყავ... განვწირულიყავ...
მაგრამ დამარცხდნენ... ჩვენც დავმარცხდით...
**ყაფლან.** დამარცხებულად ჩვენს თავს არა ვგრძნობთ!
**Inkubus.** ნუ თუ მართლა?
აი, მაგიტომ მუდამ გაქებ!
გული არ უნდა გაიტეხო!
*ყურში ეჩურჩულება*
იქნება რამის იმედია?
**ყაფლან.** ჰეე, ჰაა!
**Inkubus.** მაინც? მაინც?
როდის იქნება რომ იმ სარდალს... მთავარმართებელს...
**ყაფლან.** თუ შენ, ძმობილო, მაგრე იყვირებ...
არაფერს გეტყვი...
**Inkubus.** მშობლის საფლავებს გეფიცები...
რას დამავალებთ —არ ავასრულო?
ჩემზე სანდოს სხვას რომელს ნახავ?..
**ყაფლან.** მზადება გვაქვს... აქეთ მოდექ...
არავის უთხრა ჯერჯერობით... *ყურში ეჩურჩულება.*
**Inkubus.** მართლა თუ?
**ყაფლან.** მაშ! გარწმუნებ? მე მაქვს მათგან მონდობილება!
**Inkubus.** დედის სულს ვფიცავ, მიხარიან!
**ყაფლან.** ქუდზე კაცია გამოსული...
**Inkubus.** მაშ შეთქმულობა...
**ყაფლან.** სუ! ვიღაც მოდის... *გადის*
**Inkubus.** არ გაბოგინებთ!

II

**Inkubus** და გურამ

**Inkubus.** დილა მშვიდობის!.. როგორ ბრძანდებით?
მაგრამ კითხვაც ხომ ზედმეტი არის...
უკუღმართ დროში ვილაა კარგად!
რა მოგვივიდა, რა მოგვივიდა!
**გურამ.** ვიცი შეგტკივა ჩვენთვის შენც გული!
**Inkubus.** ნეტა რაღად ვარ ცოცხალი ქვეყნად.
ვფიცავ ჩემს გამჩენს, თქვენს თავსა ვფიცავ,
ამ ჭალარისას არ დავირცხვენდი,—
იმათ გვამებზე ვითამაშებდი!
ნეტა კი მალე ამ აზიელ სარდლის განდევნას
შევესწრობოდე!—ღმერთო მისმინე!
მისმინე, ღმერთო, რა გულითაც გთხოვ!—
*ხელს გაუყრის.*
აქეთ მობრძანდით... მსურს საიდუმლოდ...
ყაფლანი ხალხში ცრუ ხმას ავრცელებს:
ვითომც თქვენ სამმა ხალხი გაჰყიდეთ...
„შეთქმულობასაც არ მიენდოთო!“
ბევრი უჯერებს ვფიცავ თქვენ თავს... თქვენს მზესა ვფიცავ!
**გურამ.** აქ დავიბარებ!
**Inkubus.** ფრთხილად!
მე მიმიჩინეთ და დავიჭერ დანაშაულში...

III

იგინივე და **ყაფლან.**

**ყაფლან.** დარბაზში გთხოვენ...
**გურამ.** ყაფლან გაფრთხილდი! *გადის*
**ყაფლან.** რაზედ მემდურის?
**Inkubus.** მაგას აგიხსნით!.. უნდა მერწმუნო!
იცი, რა მითხრა?
ამ ყაფლანს რაღა დაემართა, გიჟებს აჰყვაო!
**ყაფლან.** როგორ თუ გიჟებს!?
**Inkubus.** კიდევ რა მითხრა... არა გჯერა?
„დეე შეაკლან თავებიო!“ თან ჩაიცინა:
„მეამბოხენი გასწყდებიან, დავმშვიდდებითო!“
მე გეუბნები: ეს ქვეყანა გაყიდულია!
სარდალმა ვახშმად მიიწვია იმ დღეს გურამი.
ის იქ ტყვედ არის, ეგ ვახშმად დადის...
ბექარი განგებ მოაკვლევინეს...
ჩვენ ამ სამის ძმის ქიშპობამ ხომ მთლად ამოგვაგდო!
გურამი დიდი ჭკვიანია!
იცი, რას ამბობს?
*ყურში უჩურჩულებს*
როგორც ცხვრის ფარას გაგიტყუებენ
და იქ მოგკლავენ, რომ ვერც დაგმარხონ!
თავს რად იხოცავთ?
ოჯახი არ გყავს?
მეთაურები ხომ ჰხედავ, რომ ხალხს ღალატობენ...
ყველას ურჩიე... გეუბნები... ეხლა შენ იცი!

IV.

იგინივე, **გურამ, შეთქმულთა მოთავენი, გამდელი და ქალები.**

**გურამ.** მთავარსარდლობას მე ვიკისრებ...
ერთის პირობით:
ვიცოცხლებთ ერთად! გავწყდებით ერთად!
ჩვენი მიზანი?
**შეთქმულები.** მოქმედება!
**გურამ.** ჩვენი ნიშანი?
**შეთქმულები.** აიდიო.
**გურამ.** ფიცი?
**შეთქმულები.** ლატავრა!
**ყაფლან.** ვიდრე ფიცს დასდებთ, მეც მომისმინეთ!
თქვენ გული გერჩით,
რომ მტარვლის ხელი ჩვენ სულს გვიხუთავს,
რომ ხალხსა ჰხედავთ მონად ჩავარდნილს
აწიოკებულს, და ნამუსს ახდილს;

---

*) იხილე დროშა № 9—11.

მაგრამ ერთის მხრით ჩვენ თავებს ვწირავთ
და მეორენი ფარულ გვყიდიან.
მტერთან იჭერენ ძმობას და კავშირს...
როგორც ცხვრის ფარას გაგვიტყუებენ...
გურამ! რად იყავ სარდალთან ვახშმად?..
შენ გინდა ხალხი მიიყვანო სასაკლაოზე...
აღარ გენდობით!..
**ხმები:**
— მოსყიდულია!
— ყაფლანისაგან არ მოველოდით!
— მაშ ჩვენი გეგმაც გაცემულია!
— დაჩუმდი!
— მოგკლავთ!
— ჯაშუში არის!
**ყაფლან.** ჯერ მათქმევინეთ. ამის მოწმე მყავს...
**Inkubus.** დამასახელებს! უნდა დავასწრო!
მეც მომისმინეთ!
აი, ეგ კაცი ყველას ასე ჰრევს!..
აერცელებს ჰორებს თქვენს წინააღმდეგ...
იცოდეთ თუ არ დაუსმენია,
დაგასმენთ კიდეც!
ეგ ამბოხების წინააღმდეგია!
**ყაფლან.** შენ თვით ამბობდი! შენ... შენ...
**Inkubus.** განა არა სჩანს ვინც ხალხს ჰლალატობს?
გურამს ცილს სწამებ...
როგორც ცხვრის ფარას გაგვერეკავენო...
ხალხს გულს უტეხავ...
მტერია ჩვენი თავისუფლების!
**ყაფლან.** ოხ! უგუნური საბრალო თავო!
**Inkubus.** ნუღარ დაინდობთ, თორემ დაგღუპავთ!
ვინ არის ჩვენში უფრო ერთგული!?
**შეთქმულები.** — მოჰკალ!
— ასჩეხეთ!
— არც შეწყალება, არც სიბრალული!
**Inkubus.** ყაფლანს პირველად ჩასცემს მახვილს. სარკმლიდან გადააგდებენ. გარედ ისმის ძახილი:
**ხმები:** რატი! რატი! რატი!
**Inkubus.** გამოჰქცევიათ! ნუ თუ მართლა გამოჰქცევიათ?
უნდა ეხლავე მოვეღოთ ბოლო!
უნდა ეცნობოს მთავარმართებელს! გადის.

V.

იგინივე **Inkubus**-ის გარდა, შემდეგ **რატი.**

**გურამ.** რატი დაბრუნდა?
როგორ შევხედავ!
ან როგორ ჰბედავს აქ დაბრუნებას?
რატი ძმის მკვლელი! რატი მტერი თავისუფლების...
რა პასუხს გასცემთ? მე მსთელით მოვალედ?
მე... მე... პასუხი!.. მე უნდა გავცე...
**რატი.** შემორბის. ნუ შემომხედავთ! ნუ შემომხედავთ!
შუბლზე მაცხია თქვენი სისხლი... სისხლი ძმებისა!
ხალხო! მოდით და სათითაოდ ჩამქოლეთ ქვებით!
ფეხი დამადგით! მე წავახდინე ხალხის საქმე...
მე დაგაობლეთ!
შური იძიეთ თქვენი ძმების... თქვენი ცოლშვილის...
ოხ, ძმაო გურამ!
**გურამ.** ნუ თუ შენ ძმა ხარ?
**რატი.** დედის ნასხლეტი, ბოროტი და მახინჯი შვილი!
მსურდა გვირგვინი, რაც კი ერთხელ თქვენ დაგიგმიათ.
მე ხალხის სურვილს ავუმხედრდი — ნუღარ დამინდობთ!
ოხ, საკუთარის კბილებით ხორცს რად არ დავიგლეჯ?
ღირსად არ მთვლიან, რომ ჩემ სისხლში ხელი გასვარონ!
შენანებული მიმიღეთ და მტერთან მაბრძოლეთ!
**გამდელი.** შე უბედურო! უბედურის ამბავი გვითხარ!
**რატი.** ო დედი! დედი!
ის ციხეში ზის იმის ტანჯვას ვერ წარმოიდგენთ.
მას აწამებენ...
ველარ გავუძელ...
მივვარდი მტარვალს...
მსურდა დამეხრჩო..
საკირესკენ როცა მივყავდით,
ორი დარაჯი ერთმანეთსა შემოვაწყვიტე...
უნდა გავგვოთ...
აწამებენ!..
მუხლს მოიყრის
გამდელო დედავ! შენ შემინდე!
**გამდელი.** შერიგდით შვილო! საქმე მოითხოვს!
**შეთქმულები.** შევუნდოთ რატის...
— ჩვენც გვსურს შერიგდეთ!
— ერთად ვიბრძოლოთ!
— ხალხის გულისთვის...
**გურამ.** პირს მოიბრუნებს, მიდის რატისთან, ხელს გაუწვდის და ააყენებს.
ვემორჩილები ხალხის სურვილს...
მე შემინდვია!
ჩვენმა ძმამაც დაე შეგინდოს!
**რატი.** გადაეხვევა ო, ჩემო გურამ!
ჩქარა დავიხსნათ! ჩქარა დავიხსნათ!

VI

იგინივე. **მთავარმართებელი** კარებთან. **ჯარისკაცები** და **Inkubus.** უცბად შემოდიან.

**მთავარმართ.** ველარ დაიხსნით!
ნიშნის მიმცემნი აღარა გყავთ. სთქვან: აიდიო!
ხართ შეპყრობილნი!
**გამდელი** ხანჯალს ჩასცემს.
შენ სამუდამოდ თავისუფალი!
წადი საიდან, აღარავინ დაბრუნებულა!
უბიდან დროშას გამოიღებს და აფრიალებს
**გამდელი.** თავისუფლების დროშა ფრიალებს!
**შეთქმულები.** შურის ძიება!
**Inkubus.** უცბად გონს მოდის. ხმალს იშიშვლებს და ახილ სარდლის გვამს ჩასცემს.
ჰა, შე მტარვალო!
სისხლი გწყუროდა, სისხლში სცურაობ. ზედ შესდგება.
გაჰყე შენც ყაფლანს! ვინც დაგვასმინა!
გაუმარჯოს თავისუფლებას.
**გამდელი.** წინ გაგიძღვებათ ეს ბაირაღი!
მრავალ ბრძოლაში გადაშლილა, რომ ჩვენთვის ემცნო
თავისუფლების დაბრუნება... ხალხის აღდგენა!
ქალთა ლაშქარი დაიცავს ამას?
ხმლებს მაღლა ასწევენ.
**ყველანი.** აიდიო ლატავრა!

ფარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება მეხუთე.

### ოთახი ენგიჩარის ციხეში.

I.

*ენგიჩარ. მისი დედა. ლატავრა. კარისკაცნი და მხევალნი. აქა-იქ სიკვდილის ლანდი ჩნდება.*

**ენგიჩარ.** *წამოდგება. ლატავრას შეჰხედავს გამობრუნდება.*

მისმა ღიმილმა მე დამღალა!

ახ, დედაჩემო,

**დედა.** არ მოველოდი!—გულქვაო ქალო!

იგია ერთი, რომელს ყველა ქალი შეჰხარის!

იგია ერთი...—

**ლატავრა.** ჩემი მტარვალი!

**დედა.** რომელს უყვარხარ...

**ლატავრა.** შეურაცხყო ჩემი დიდება!

**დედა.** მეფეთა-მეფე!

**ლატავრა.** სისხლის მსმელი!

მაგან დაადო ჩემს რჩეულ ხალხს მონის ბორკილი.

**ენგიჩარ.** კარის კაცო!

ყოველ კარებთან მცველი დადგეს!

ვილაცას ვხედავ შავი მანტიით!

აქ და იქ... ყველგან! დარაჯები გააძლიერეთ!

მეგონა ამ ურჩს, ვით სხვა ასულს დავიმონებდი!

**ლატავრა.** რწმენას დაჰკარგავ...

**ენგიჩარ.** ო, რა ვიზრუნო!?

**ლატავრა.** თავისუფლება!

**ენგიჩარ.** რატომ არ მესმის: თავისუფლება. რა არის ჩემთვის...

**დედა.** ქალს უნდა შიში!

**ენგიჩარ.** ვგონებ საზღვარი არ ექნება ჩემს სისასტიკეს!

**ლატავრა.** რა გინდათ ჩემგან?

ვიდრემდის უნდა სული მიტანჯოთ!?

ჰგონებთ, მოსარჩლე აღარ მყავდეს?

**ენგიჩარ.** მოსარჩლე მე ვარ!

**დედა.** უნდა, გიყვარდეს!..

უწინ რაც იყავ, ვინც გიყვარდა,—ის დაივიწყე!

**ლატავრა.** ო, არაოდეს!

არაფრად მიღირს თქვენი ტახტი, თქვენი გვირგვინი!

**ენგიჩარ.** და რომ მაგ გულით ლმობიერად გადმომხედავდე!

**ლატავრა.** ნე არავინ მძულს!..

შენს ხალხშიც არის ჩემი სახე, დაშორებიხარ!

**ენგიჩარ.** მხოლოდ შენ მსურხარ...

**ლატავრა.** უნდა გარდიქმნე...

**ენგიჩარ.** არ მესმის შენი ლაპარაკი...

**ლატავრა.** სულის სარკეში ჩაიხედე, სისხლს დაინახავ!

**ენგიჩარ.** *ბრაზმორეული* მეტს ვერ ავიტან!

დაჰყე ჩემს ნებას!

**ლატავრა.** ჩემი ნება უფრო მძლე არის!

**ენგიჩარ.** შენმა გმირებმა გიღალატეს, ვერ შეგიფერეს,

იმათ რომ გულით ჰყვარებოდი, შენ დაგიცავდნენ!

**ლატავრა.** იქნებ იმათაც სრულყოფამდის ვერ მიახწიეს!

**ენგიჩარ.** ჰეი! ჩააცვით ტანსაცმელი უბრალო მხევლის!

კვლავ მიაკარით ამ სვეტს... სტანჯეთ! აქვე ჩემს თვალწინ!

დაე იტანჯოს! ჩემთან ერთად?

*გაბოროტებული.*

ქვეყნის მპყრობელმა ვერ დავიპყარ მე მისი გული!

რა გუგუნია? ეს რა ხმა ისმის?

განა ვერ ახწევს თქვენს ყურამდის?

თითქოს იწვდიან ჩემკენ ძვლის ხელებს...

თითქოს ჩემს გვირგვინს ემუქრებიან!

ჩაახრჩეთ სისხლით!..

**I მხევალი.** მებრალება!

**II მხევალი.** შემიყვარდა!

**III მხევალი** მაინც თამამად იმზირება!

**ენგიჩარ.** ის ლანდი მახრჩობს! სინიდისია თუ ჩემი წერა?!

განა ვერ ჰხედავთ?

თეთრი კბილები! შავი არის, როგორც ყორანი!

*დედა მხევლებს ანიშნებს. ლატავრას ეკლის გვირგვინს ადგამენ.*

**I მხევალი.** ლატავრას ნეტავ შემეძლოს შენს მაგიერ...

არ ხარ ჩვეული შენ ამ სასჯელს...

**ლატავრა.** ვინ ხარ ასულო!

**I მხევალი.** შენის ქვეყნიდან მოტაცებული!

**მხევალი.** უარეს ტანჯვას გაგიმზადებენ!

**ლატავრა.** სპეტაკი სულის სიამაყეს შევინარჩუნებ!

**ენგიჩარ.** *თითქოს თვლემიდან ერკვევაო.*

რაო. ვეზირო? რას დამყურებ ჩაფიქრებული?

თუ კი იცოდი, რომ ჩემს მიზანს ვერ მივახწევდი...

რად არ მირჩიეთ?

ოხ, ის Inkubus!

მისი ამბავი მან მიმღერა რომ ტყვედ შემეპყრო...

დღეს ტყვე თვით მე ვარ!

ირყევა ჩემი იმედი და

შუბლს მტკენს გვირგვინიც!

მიზანს ვერ მივწვდე? უნდა მივსწვდე! უნდა ასრულდეს..,

სიბრაზე მახრჩობს! თავს მოვისპობ! ყველაფერს მოვსპობ!

*ლატავრასკენ ხანჯალ ამოღებული გაექანება, მაგრამ ისევ ერთ ადგილს შეჩერდება. შეღონებული ტახტზე დაემხობა, ვეზირი ააყენებს და აბრუნებს.*

რაო, რა მოხდა?

ვერ გამიგია, ჩემს თავს ვსტანჯავ, თუ ამ ურჩ გოგოს?

ეკლის გვირგვინი! ქანჩი! სისხლი... და ცხელი რკინა!.

არა! მოიცათ! ახ მოიცათ!

მიყვარს და მსტანჯავს? ან რად უნდა მიყვარდეს იგი?

მე ხომ მას ვძულვარ და მტერია!

ვეზირო! რატომ არაფერს მირჩევ?

*ვეზირს გაჰყავს, უკან მისდევენ დედა და მხევლები.*

II.

ლატავრა და ერთი მხევალი.

**მხევალი.** ნეტა შემეძლოს ტანჯვა რითმე შეგიმსუბუქო!

**ლატავრა.** იყუჩე დაო!

**მხევალი.** ლატავრა!

მხევლებს გვაქვს წესად:

მორიგეობით ბატონს უნდა ვეწვიოთ ღამე.

ასეთი ჯერი დღეს მე შემხვდა...

... ჰხედავ ამ დანას?

ალერსის დროს...

**ლატავრა.** არა! არა!

**მხევალი.** და გავიქცეთ.

ჩემს მიჯნურს უკვე დავავალე ორი მერანი.

**ლატავრა.** თუნდაც რომ მოჰკლა ენგიჩარი, სხვაც ჰყავ სარდალი!

მე ჩემმა ხალხმა უნდა დამიხსნას!

III.

იგინივე. დედა და მხევლები მაშხლებით.

**დედა.** რად მიტანჯავ?

არ იცი დედას რაროგად უყვარს?

*სიჩუმე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირი შეგეკრა?
განა შენ იგი არ გპირდება ბედნიერებას?
*პასუხს ელის.*
მე დედაკაცი, შენ, ასულმა სულით მომლოდე!
შენი შემოსვლით მოსვენება მოგვისპე ყველას!
მას ერთხელ მაინც გაუღიმე, რომ მით დამშვიდდეს.
*სიჩუმე.*
აგრემც ეგ გული მართლა ლოდათ გარდაგექცევა!
დაგწვავ მაგ ტუჩებს, დამცინავად რომ იღიმები!
*მუდარით.*
იბრუნე გული! ჩემს შვილს თავს ნუ მოაკლევინებ!
—ლამის ამ ქალმა სიამაყე ჩემი მოსტეხოს!—
*მუხლს მოუყრის.*
შვილს ნუ მიტანჯავ!
ტყუილად მაინც მოაჩვენე, ვითომც ის გიყვარს,
ვითომც შენ იმას ჰმორჩილდები! რომ ამ სიცრუით
მცირე ხანს ჰპოვოს მოსვენება! გემუდარები!
**ლატავრა.** სიცრუით ჰპოვოს?
**დედა.** დედის გულისთვის.
... განა არ სთელი ადამიანად?
განუსაზღვრელად მას უყვარხარ!
**ლატავრა.** უნდა გარდიქმნეს და ჩემს სახეს თვის ხალხშიც ჰპოვებს!
დღეს კი უცხოა!
**დედა.** არ არსებობს ქალისთვის უცხო!
**ლატავრა.** იქ, სადაც მე ვარ, ჩემს მტერს დასდევს სიკვდილის ლანდი!
**დედა.** ვინ ხარ ასულო?
**ლატავრა.** ლატავრა!

IV.

იგინივე, **ენგიჩარ** და **ვეზირი.**

**ენგიჩარ.** ლატავრა.
არ ეკარება ჩემს თვალს ძილი! სულს მოსვენება!
ჩემს თვალწინ ცხადათ აიმართა ვილაც ძლიერი!
მრავალი თავი.. მრავალი ენა.
**ვეზირი.** ხალხი ღელავს!
**ენგიჩარ.** ჩემი ხალხი?
ვინ მოხიბლა?
რად იძახიან:
ძირს!..
რად მომიყვანეთ ეს ასული?
თავისუფლების სენმა ჩემი ხალხიც შეიპყრო
თითქოს მე თვითვე წაუკიდე ცეცხლი ჩემს მინდვრებს!
მომიხმე ჩემი უხუცესი! რჩევა მჭირდება!
**ვეზირი.** ის ხომ შენ თვითონ დაასჯევინე!
**ენგიჩარ.** დავასჯევინე?
დავასჯევინე?—ჩემი ბრძენი?
**ვეზირი.** შენ თვით ჯალათთან გაჰგზავნე და...
**ენგიჩარ.** როდის?
**ვეზირი.** როდესაც რატი!..
**ენგიჩარ.** მერე? თქვენ რატომ არ შემაჩერეთ?
*სინანულით.*
ო, ეს ლატავრა... მახოცვინებს ჩემს ერთგულ მონებს!
მეც ბოლოს მილებს!
*ლატავრას უმზერს.*
მისი თვალები როგორ ისრად გულს მესობიან!
თითქოს მე მედგას ეკლის გვირგვინი!
მიდით, მოჰხადეთ!... ბორკილები ნუ აძევს ხელებს!
დაუბრუნდეს იგი თავის ხალხს!
ახ! მომაშორეთ! მომაშორეთ!
მას შემაჯახეს, ვისთან ბრძოლა მე აღარ ძალმიძს!
**დედა.** ნეტა აქამდის მოგეფიქრა!
**ენგიჩარ.** ახ! მომაშორეთ!
ხეიმს ეძლევა?
უხარიან?
მე უნდა დავრჩე დამარცხებული?
დამარცხებული?
შეუძლებელი ქვეყნად ჩემთვის არა იყო რა!
და ნუ თუ ეხლა?...
მოიცათ...
ო, საბრალო! ო, თავო ჩემო!
**დედა.** წამო, განშორდი!

V.

იგინივე და **Inkubus** შემოიჭრება.

**Inkubus.** მე ვარ!
**ენგიჩარ.** ინკუბუს!
რად არ იკითხე: მსურდი თუ არა?
**Jnkubus.** ჰეე, ხე!
განა როდესმე ვისმეს ვკითხავ: ვსურვარ თუ არა?
მე რომ ეგ ექვი შემეპაროს, თვით დაველუპულვარ!
**ენგიჩარ.** სუნი გდის ცუდი! მოსჭერ მოკლედ და გამეცალე!
**Jnkubus.** ცუდი სუნი იქიდან მოდის...
ჰხედავ, რა ზიზღით გვიყურებენ
ჩვენ თუ ვართ ერთად, ვმეფობთ დიდებით!
**ენგიჩარ.** მძულხარ!
**Jnkubus.** მე—უარესად!
**ენგიჩარ.** რა გინდა ჩემგან?
**Jnkubus.** განაღდება ჩემი პირობის!
*ქალალდს უჩვენებს.*
**ენგიჩარ.** პირობას მე ვწერ, მას მევე ვარღვევ!
ხელის შემშლელი არავინ არის!
რა პირობაზე ლაპარაკობს ძლიერთან სუსტი?
შენც ჩემი ხარ და თვით ეგ პირობაც!..
**Jnkubus.** ოქრო!
შენ მკვდრად გიწყვია, ჯილდოთ მოვითხოვ!
**ენგიჩარ.** რისთვის?
**Jnkubus.** სამს ძმას კავშირი დავარღვევინე!
**ენგიჩარ.** შემდეგ?
**Inkubus.** მათ დასამხობად რეაქცია ავაელვარე!
**ენგიჩარ.** კიდევ?
**Jnkubus.** იმათ ბანაკში ვავრცელებდი პროვოკაციას.
**ენგიჩარ.** და ბოლოს... ჩემთვის?..
**Jnkubus.** ხელში ჩაგიგდე ვინც შენ გინდოდა!
**ენგიჩარ.** ვინც მე მინდოდა?
ვინც მე დღეს მტანჯავს! ვინც მე მომისპო....
შენ შემაჯახე ჩემს ბედისწერას....
*ქალალდს ჰხევს.*
სიბრძნის წიგნში მოძებნეთ ჯილდო!
რას იმსახურებს:
ძმათა გამთიში, ფლიდი ჯაშუში და კაცის მკვლელი?
**Jnkubns** დიახ, ეგ ჩემი ღირსება არის!
**ენგიჩარ.** რას იმსახურებს?
**ვეზირი.** საკიროს!
**ენგიჩარ.** დასწვით!
**Jnkubus.** გასთხრი სამარეს?..
მე ვიხარხარებ!
თვით შენი თავი მოგძულებია!

მე ვიარსებებ სხვაგან სხვა სახით.
აბა, ისმინე!
აგმხედრებია ჯარი და ხალხი!
შენ ხარ მარტოკა შენის გვირგვინით
და ბებრუცანა კარის კაცებით!
მე გიმაგრებდი ტახტსა და სკიპტრას
დღეს კი?...—
პოზას იცვლის.
მოდის ლაშქარი!..
და შენ უჩემოდ წადი, ებრძოლე!
**ენგიჩარ.** ჩემს თავს რა ხდება?
მეორე ხანს ბნელდება. გაირბენს სიკვდილი. სიბნელეში გამოწვდილია მრავალ ათასის ხელი. ინკუბუსი ჩნდება ოქროს სამოსელში.

VI.

იგინივე **კარისკაცი. მთხრობელი.** შემდეგ **მეომარი.**

**კარისკაცი.** მთხრობელი არის!
**მთხრობელი.** აგვიჯანყდნენ!..
**ენგიჩარ.** ვინ?
**მთხრობელი.** ლატავრას ხალხი!
**ენგიჩარ.** ჩემი ჯარი!
**მთხრობელი.** ორად გაიყო და ნაწილი იმათ მიემხრო!
**ენგიჩარ.** სიკვდილი მიმზერს...
**მეომარი.** შემორბის.
ყველა გზები მტრის ხელში არის!
ვერაფერს ვაწყობთ, თუმც მხნედ ვიბრძვით!
**ენგიჩარ.** წადი ვეზირო! შენც იქ მოკვდი! ვეზირი გადის
განა თუ ამას არ მოველოდი?
მაშ რატომ ჩემს მტერს მზად არ დავუხვედი?
ო, ეს ასული!
რად შევებრძოლე ხალხის მიზანს მე მომაკვდავი?
მახვილს იღებს.
აწ ეს მახვილი ემძიმება მეფის მარჯვენას!
ვინ მელობება?
წინ ვინ მიდგას?
სიკვდილის ლანდი! შეჰყურებს
ოხ, ნეტა ამ ქალს არ შევყროდი!..
**დედა.** გული ცუდს მიგრძნობს!
დასდე ზავი, ანთავისუფლე!
**ენგიჩარ.** უარვყო ჩემი ძლიერება, ჩემი გვირგვინი?
არ შეიძლება! დღემდე გული შიშს არ იცნობდა?
**დედა.** ანთავისუფლე!
**ენგიჩარ.** ჩემი მარჯვენა!..... ჩემი სახელი!...
**Jnkubus.** ხა, ხა, ხა!
**ენგიჩარ.** შენ? ვინ ხარ? რა ხარ?
**Jnkubus.** ოქროს რაინდი! ყველა მძულს და ყველა მჭირდება!
მე ხალხს ვებრძოლებ, სანამ თვით მე შემებრძოლება...
**ენგიჩარ.** შენ არ ყოფილხარ ჩემი ზრახვა? ჩემი სურვილი?
**Inkubus.** დღეს მე ვიმეფებ!
ენგიჩარს ეცეცხება ლანდი სიკვდილისა.
**ენგიჩარ.** იქნებ ჩემი ქვეშევრდომებიც
შენ ამიჯანყე...
**Inkubus.** ორპირია ჩემი მახვილი!
**ენგიჩარ.** ვაი თუ ერთხელ შენ თვით მოგხვდეს?!
**Inkubus.** ვარ ცვალებადი! წადი თამამად! გადიან.

VII.

**ლატავრა. დედა. მხევლები.** შემდეგ **Inkubus.**

I **მხევალი.** ლატავრას მეც თან წამიყვა! მზის ქვეყანაში!
**დედა.** ლატავრას მუხლს უდრეკს.
შენ შეგიძლიან შეაჩერო გარედ სისხლის ღვრა!
ერთი მყავს შვილი!
**ლატავრა.** ხალხი გადასწყვეტს!
**დედა.** შემინდე ქალო, რაც კი დღემდე ტანჯვა მოგიძღვენ!
**ლატავრა.** ხალხი განსჯის...
**მხევლები.** სარკმელში იყურებიან.
— მოიშწყვდიეს!
— ფარი გაუტყდა...
— მცველს გამოჰგლიჯა მეორე ფარი!
— უკან მოსდევენ!
**დედა.** ახ!
მე შვილს მიკლავენ და შენ კი ჰხარობ?
არ გაგახარებ!
ხანჯლით გაექანება და იმ დროს, როცა უნდა ჩასცეს, მხევალი ლატავრას წინ აეფარება, აგრეთვე ხანჯლით ხელში, ორივეს ერთმანეთის ხანჯალი მოხვდებათ, მხევალი ლატავრას წინ კვდება.
**დედა.** შვილის სიცოცხლე...
შენ მას უყვარდი!
ტახტის წინ კვდება. გარედ ომის ხმაურობა. შემორბის ინკუბუს. ხელში სასწორით და ოქროს პარკით ოქროს ტანთსაცმელში. ტახტზე ადის.
**Inkubus.** მეფე დაემხო! ანთავისუფლეთ!
**ხმები:** აიდიო ლატავრა.
**Inkubus.** შესწყვიტონ ბრძოლა! ხალხს აუწყეთ ჩემი სურვილი:
ოქროს რაინდი ანთავისუფლებს!
მე და ლატავრას კიდევ გვნახავთ თქვენთან, თქვენს ახლოს,
შებრძოლებულებს ოქროების სამეფლობელოში.
ეხლა ვასრულებთ ერთ ეპოქას! დაუშვით ფარდა?
ფასასრული

**სანდრო შანშიაშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოქანდაკე გ. სესიაშვილი



მოქანდაკე გ. სესიაშვილის ლენინის ძეგლის პროექტი, რომელმაც ქ. აღმასკომის საკონკურსო პრემია მიიღო.

ახალგაზრდა მოქანდაკე გიორგი სესიაშვილმა პირველად თავისით დაიწყო ქანდაკების შესწავლა. შემდეგ იგი შემთხვევით გაიცნო ჩვენმა მოქანდაკემ ი. ნიკოლაძემ, რომელმაც როგორც დაკვირვებულმა ხელოვანმა, მასში შენიშნა ბუნებრივი ნიჭი. სამეცადინოდ მიიწვია თავის ატელიეში და ამეცადინა ორი წელი. სამხატვრო აკადემიის დაარსების შემდეგ გადაიყვანა აკადემიაში, სადაც ამ ჟამადაც მეცადინეობს.

მისი უტყუარი ნიჭის დამადასტურებელია ახლად შესრულებული **ლენინის ძეგლის პროექტი**, რომელშიც ქალ. აღმასკომის საკონკურსო პრემია მიიღო. ძეგლის პროექტი თავის აღნაგობით წარმოადგენს ოთხკუთხედ კვარცხლბეკს და ხუროთმოძღვრულ კონსტრუქციისას. ზემო ნაწილზე აღმართულია პიტალო კლდე, ქაოტიურ ხასიათის. ამ ძლიერ ქაოსის გარღვეულ გულიდან ამოზიდულია ვულკანიური სიძლიერით და ტიტანიური ბრაზით გულმკერდით შიშველი ფიგურა ლენინის. იგი მტკიცე ნებისყოფით იმზირება განუსაზღვრელ სივრცისაკენ. აქ ნათლად მოცემულია მთლიანი ბუნება დიდი პიროვნების. ლენინის უკან აღმართულია მთლიანი ტანით ქალის ფიგურა საყვირით ხელში, რომელიც უხმობს მთელ სამყაროს, ნათელი გამოხატულება დიდი ტრიბუნის მისწრაფებისა; ძეგლის ქვემო ნაწილზე, კვარცხლბეკთან ასახულია ძლიერი ჯგუფი, ბობოქარ ტალღასავით მოვარდნილ მშრომელ მუშათა მასის, რომელნიც შეერთებულის ძალით, თავგანწირულთ გაბედულებით, ღია გულმკერდით და დაჭიმულის კუნთებით, ამ მძლე ძახილის ხმაზე მიისწრაფიან წინ; მათ შორის მოსჩანან, მოხუცნიც, ქალებიც ბავშვებით ხელში. ახალგაზრდა ქალიც, რომელსაც თავისი სატრფო ვაჟი ხელის მოხვევით თავისთან იწვევს და მიჰყავს საერთო მიზნისაკენ.. ყველას სახეზე აღბეჭდილია მტკიცე სურვილი, ურყევი ნების-ყოფა და მისწრაფება გამარჯვებისაკენ.

ადონის.

# სახალხო კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი.



ნიკო სულხანიშვილი.

ქართულმა გულგრილობამ, ქართულმა დაუდევრობამ როგორც ეს მიღებული და ჩვეული ამბავი იყო წარსულში, ამ ოთხი წლის წინადაც, მშრომელ ხალხს უდროოდ მოსტაცა თვისი გულის მესაიდუმლე სახალხო კომპოზიტორი ნიკოლოზ სულხანიშვილი.

ნიკოლოზ სულხანიშვილმა საქართველოში პირველმა მოახდინა დიდი რევოლიუცია სახალხო მუსიკაში.

მან პირველმა დაუწერა მუშა კლასს „სარევოლიუციო მარში" 1906 წელს როცა პარტიული ამხანაგი პეტრე მონტინი, განმზადებული დელეგატად პეტროგრადის კომუნისტთა ყრილობაზე, ვერაგულად მოკლეს ბაქოში ბნელმა ძალებმა 1906 წ. 6 დეკემბერს. ეს მარში შესრულებულ იყო ამხ. მონტინის ნეშტის გამოსვენების დროს ტფილისში.

ამ წლიდან იწყება სულხანიშვილის დევნაც წყეულ მავრაზმელ ნიკოლოზის რეჟიმის აგენტების მიერ. სულხანიშვილს ითხოვენ სამსახურიდან, გალობის მასწავლებლობიდან, და იგიც კარის კარ დაწიალებს სოფლად და აგროვებს ხალხურ კილოებს, რომელსაც სარჩულად უდებს თავის საყვარელ ოპერა „პატარა კახი"-ს და სახალხო სიმღერებს.

ყველა ამ ხალხურ სიმღერებს იგი ამღავნებს 1913 წელს სულმნათ მსახიობ ლადო მესხიშვილის იუბილეზე და ისეთ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ერთხმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიარებენ მას სახალხო მუსიკის კომპოზიტორად, მისი „გუთნური“, „მესტვირული“, „სამშობლო ხევსურისა“ „მაშ გამარჯვება ტკბილო სიცოცხლე“, „ლოცვა“, „მოზუალო“ და სხვ. ყველა ეს სიმღერები შედევრებია ხალხის გულიდან ამოკრეფილი.

მაგრამ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ დიად ნიჭს პატრონი არ უჩნდება, არავინ მხარს არ უმაგრებს, პირიქით ინტრიგების ქსელში ახვევენ. და 1919 წელს დეკემბრის 3-ში უპატრონოდ, სადღაც რკინის გზის სავადმყოფოს ერთ ერთ კუნჭულში ფილტვების ანთებით სული ხდება.

იმედია დღევანდელი ხელისუფლება მიაქცევს ყურადღებას ამ ნამდვილ სახალხო კომპოზიტორის ნაწერებს, რომელიც დაცულია ამ ჟამად საქ. საისტ.—საეთნოგრაფიო საზოგადოებაში და გამოსცემს მთელ მის თხზულებათ და მონოგრაფიას, რომელიც საუკეთესო ძეგლი იქნება გარდაცვალებულ კომპოზიტორის სახელის უკვდავსაყოფად.

# ქრონიკა

— სახალხო სახლმა თავის დამსახურებულ მსახიობს ნ. გოცირიძეს საზეიმო საღამო გაუმართა 6 აპრილს. წარმოადგინეს იუბილიარის მონაწილეობით „ხანუმა“ 2 მოქ. და „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ შემდეგ იუბილიარს მიულოცეს. მიიღო მუშებისაგან საჩუქრები. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. წარმოდგენის შემდეგ ამხანაგებმა გაუმართეს ბანკეტი.

— კვირას, 6 აპრილს, რუსთაველის თეატრში გაიმართა გრანდიოზული საღამო-კონცერტი საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. საღამოს მთელი შემოსავალი მოხმარდება გერმანიაში მოსწავლე ქართველ სტუდენტობას.

— სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საღამო დანიშნული 5 აპრილისთვის ვერ შესდგა, და იგი გადატანილია 3 მაისისთვის.

— 18 აპრილს სახელმწიფო ოპერის თეატრში სამუსიკო დარგში 35 წლის მოღვაწეობის გამო იუბილეს უმართავენ საოპერო ლოტბარს ვანო ფალიაშვილს.

— დები თარხნიშვილების კონცერტი, რომელიც დანიშნული იყო 6 აპრილისთვის გადატანილია 16 აპრილისთვის. გაიმართება სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში. მონაწილეობას მიიღებენ ძმანი კავსაძეები და მომღერალი ლორთქიფანიძე.

— ახალგაზრდა მომღერალი ვ. ქაშაქაშვილი მიემგზავრება იტალიაში. მან თავისი გამოსათხოვარი კონცერტი გამართა 7 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში.

— ხუთშაბათს, 3 აპრილს რუსთაველის თეატრში წარმოადგინეს პირველად გრიგოლ რობაქიძის ახალი პიესა „მალშტრემ“. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. დადგმა მეტად ორიგინალურია. საინტერესოა დეკორაციები მხატვრების: ი. გამრეკელის და კ. ზდანევიჩის. თვალის მომჭრელია კოსტიუმები ფერადებით. პიესა უჩვეულო ანსამბლით იქნა მსახიობთაგან წარმოდგენილი. ესევე პიესა გაიმეორეს აგრეთვე 8, 10 და 13 აპრილს. დადგმა ეკუთვნის კ. მარჯანიშვილს და ალ. ახმეტელს.

— კომპოზიტორმა კ. ფოცხვერაშვილმა დასწერა ახალი ორიგინალური ოპერა „სინათლე“.

— ქართ. მხატვართა საზოგადოებამ გადასწყვიტა მოაწყოს მაისის შუა რიცხვებში სურათების გამოფენა. იგი წინასწარ მუშაობას უკვე შეუდგა.

— ხელოვნების მთავარ კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა სახ. კომსაბჭოს წინაშე, ახალგაზრდა მხატვრის ირ. თოიძის საზღვარ-გარეთ გაგზავნის შესახებ. ამ მხატვრის ახალი ნაწარმოები „ქალის პორტრეტი“ ამ დღეებში შეიძინა საქართველოს ეროვნულ გალერეის დირექციამ.

— ავჭალის მუშათა თეატრს აღმასკომის დადგენილებით დაერქვა ნიკო გოცირიძის სახელობის თეატრი, მისი 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— 15 აპრილს გაიმართება საღამო კონცერტი ქართულ კლუბში საექიმო დარგის მომუშავეთა კავშირის ნივთ. ღონისძიებათა გასაძლიერებლათ საინტერესო პროგრამით.

— სრულ. საქ. ხელოვანთა კულტ-კავშირში მოხდა მთავარ კომიტეტის ახალი არჩევნები. კომიტეტის შემადგენლობა: კ. მაყაშვილი (თავმჯდომარე), კოტე მარჯანიშვილი, დ. არაყიშვილი, ია კარგარეთელი, აკ. ფალავა, ტ. ტაბიძე, ვ. კოტეტიშვილი, პ. იაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. აბაშელი, ვ. სიდამონ ერისთავი, შ. მამალაძე, ვ. რუხაძე, პრეზიდიუმში არჩეულნი არიან: კ. მაყაშვილი,— თავმჯ. მისი მოადგილე ტ. ტაბიძე,— თამჯდომარის ამხანაგი, ვ. სიდამონ—ერისთავი და აკ. ფალავა.

— ამ დღეებში მოხდა ქართველ მხატვართა საზოგადოების წლიური საზოგადო კრება. კრებას დაესწრენ ტფილისში მყოფი ყველა ქართველი მხატვარი. მოხდა გამგეობის ახალი არჩევნები, არჩეულნი არიან გამგეობის თავმჯდომარეთ: ვ. კოტეტიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად ვლ. სიდამონ-ერისთავი, მდივნად ი. ტოფაძე, მოლარედ გიორგი ნესიაშვილი, გამგეობის წევრად, დ. წერეთელი, სარევიზიო კომისიაში მიტო შევარდნაძე და შ. არეშიძე.

— საქართველოს პროლეტკულტში დაიწყო ლექციების კითხვა ხელოვნების ყველა დარგებიდგან. მუშებისათვის ლექციები უფასოა.

— დეპოს მუშათა ადგილკომის კულტგანყოფილებამ დაადგინა გახსნას მუშებისათვის დრამატიული და სამხატვრო კურსები.

— საქ. სახ. კომისართა საბჭომ აღმოსავლეთის შრომელთა უნივერსიტეტის გაზეთის „ილიჩის დროშის ქვეშ“ საჭიროებისათვის ყოველთვიურად გადასდო 10 ჩერვონ.

— მუშათა ცენტრალურ კლუბის გამგეობამ დაადგინა 15 მაისს გახსნას თავის საზაფხულო თეატრი ბაღში, სადაც მოწყობილია საზაფხულო სცენა. გაიმართება ქართული წარმოდგენები და კონცერტები.

— დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდა რეჟისორი პერესტიანი და კინო-მრეწველობის მსახიობნი, რომლებმაც ადგილობრივ გადაიღეს ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და გ. წერეთელის „პირველი ნაბიჯი“.

— სახელ. კინო მრეწველობამ დაასრულა სურათის „არსენა ყაჩაღის“ გადაღება და ამ დღეებში უჩვენებ კინო-თეატრებში.

— საქ. სსბ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა განათლების კომისარიატს რომ მასთან არსებული სახელ. კინო-მრეწველობა შეუთანხმდეს საფრანგეთში არსებულ ქართველ ხელოვანთა კავშირს, საფრანგეთში ქართულ კინო-ფილმების გადაგზავნის შესახებ.

— ოპერები მუშათა თეატრებში. ყოველ სამშაბათობით მუშათა თეატრებში ნაძალადევსა და ცენტრალურ მუშათა კლუბში, იმართება საოპერო წარმოდგენები მუშათათვის, სახელმწიფო საოპერო მომღერალთა მონაწილეობით. ხალხი აუარებელი ესწრება. ფასები მეტად ხელმისაწვდომია.

# ბიბლიოგრაფია.

**„მნათობი“ № 1 ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი** საქ. პოლიტ-განათლების მთავარმმართ. გამომც. ლ. ქართველიშვილის რედაქტორობით.

ჟურნალი, როგორც რედაქციის წინასიტყვაობიდან ჩანს, მიზნად ისახავს შემოკრიბოს თავის გარშემო ქართული ლიტერატურული ძალები და გამოიყენოს აგრეთვე მარქსისტული და მეცნიერული ძალები. თუ რედაქციამ ეს დაპირება შეასრულა და იარა ამ გზით ეს ჟურნალი დიდ საქმეს გააკეთებს ქართული კულტურისათვის. ამის საწინდარი ჟურნალის პირველი ნომერია.

ჟურნალის პირველი განყოფილება დემნა შენგელაიას რომანით „სანავარდო“-თი („უემური“-თ) იხსნება. რომანში მოცემულია Mallaria მთელი თავისი საშინელებით და გადაშენება. ჩვენ თავს ვიკავებთ ჯერ-ჯერობით დაფასებისაგან და ჟურნალის შემდეგ ნომრებში რომანის გაგრძელებას მოვუცდით.

შემდეგ მიყვება ი. ხონელის ლექსი, რომელიც პოეტის იმედიანი მოწოდებაა ბრძოლისაკენ.

აქვეა სერებრიანსკის ლექსი „კომუნა“. ლიტერატურული განყოფილება იხურება ტარასოვ-როდიონოვის ფანტასტიური ამბით „შოკოლადი“-თ.

ლიტერატურულ განყოფილების შემდეგ მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის განყოფილებაა. წერილები ლენინზე ქართულ ლიტერატურაში ლენინის შესახებ განსაკუთრებით გამოირჩევიან.

ფ. მახარაძე ალწუსხავს იმ მიზეზებს, რომელთა წყალობით ლენინი შეიქნა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენათა ხელმძღვანელი,

მ. ტოროშელიძის პატარა წერილს ლიტერატურის დიდი აზის. ის ათანხმებს მარქსიზმის კონცეპციას პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში და ლენინის კულტს.

დაბოლოს კ. ორაგველიძის „ლენინი და ბრესტი“ საგაზეთო წერილია და ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ შეეძლო ლენინს მოვლენათათვის დროზე ანგარიში გაეწია და პოლიტიკაში სტრატეგიული მანევრები მოეხდინა. ამ საკითხზე ჩვენ ჟურნალში იყო ბრესტის ზავის მოწმის არისტოვის წერილი. აქვეა ვარლამ-მგელაძის წერილი „ბოლშევიკები და იაკობინელები“.

კ. ორაგველიძის „წერილები პოლიტიკური ეკონომიიდან“ ფრაგმენტს წარმოადგენს პოლიტიკურ ეკონომიის განმარტებისა და მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების ძიებისათვის. ეს ცდაა პრობლემის დაყენების, სადაც ბევრი დაუმთავრებელი აზრია. ავტორის წერილის დასაწყისში ერთი მარცხი მოსდის, ის სწერს: „პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერების საგანი, არ შეიძლება გარკვეულათ ჩაითვალოს“. ჩვენ გვგონია, და ამაში ავტორიც დაგვეთანხმება, რომ პოლიტიკური ეკონომია მეცნიერების საგანი კი არაა არამედ თვითონ მეცნიერებაა.

მოსე გოგიბერიძის ვრცელი წერილი „ალბერტ აინშტაინის რელატივობის თეორიი“-ს შესახებ გვაცნობს იმ უდიდეს რევოლუციას ფიზიკაში, რომელიც აინშტაინმა მოახდინა და მთელი ძველი ფიზიკა ყირაზე დააყენა. ავტორი ცდილობს პოპულიარული გადმოცემით მეცნიერებისა და ფორმულების საიდუმლოებათ მკითხველი აზიაროს. და ვფიქრობთ, რომ ავტორმა ეს შესძლო იმდენად, რამდენად შესაძლებელია პოპულიარობით მეცნიერების ინტერესები არ დაზიანდეს.

ვ. ბარნაბიშვილის წერილში „ქვანახშირის მარაგი საერთოდ და კერძოდ საქართველო“-ში არის საერთო ცნობები მსოფლიო ქვანახშირის მარაგის შესახებ და დაწვრილებით აღნიშნულია საქართველოს ტერიტორიის ის კუთხეები, სადაც ქვანახშირის ჩანაწოლები და ნიშნებია: წერილში ამომწურავი და კონსპექტური ცნობებია, მას მხოლოდ ეკონომიური მიდგომა და გაშუქება აკლია.

ის ორაგველიძის წერილი „გაახალგაზრდების“ შესახებ ოპტიმისტურად აშუქებს საკითხს და ამ შთაბეჭდილებას რედაქციის შენიშვნებიც აძლიერებს. ცნობების სიახლეს ადგილი არ აქვს. ჟურნალს უფრო მოუხდებოდა, რომ საკითხი მარტო ფიზიოლოგიის თვალსაზრისით არ გაშუქებულიყო. სიცოცხლის პრობლემა, რომელსაც ბევრი მოაზროვნის სულიერი მშვიდობა დაურღვევია, მჭიდროდ არის გაახალგაზრდების საკითხთან დაკავშირებული. სიცოცხლის ინსტინქტის სიკვდილის ინსტინქტით შეცვლა, დაუნანებელი განშორება სააქაოდან, აი ის საკითხები, რომლებიც იმ წამშივე წამოიჭრებიან, თუ გაახალგაზრდების საკითხს მარტო ფიზიოლოგიის თვალსაზრისით არ მოუდგებით, ასე გაშლილ თემის დროს ილ. მეჩნიკოვს გვერდს ვერ აუხვევთ.

უცხოეთის განყოფილებაში მოთავსებულია ნ. კიკნაძის წერილი „მუშათა პარტიის“ მთავრობის შესახებ ინგლისში.

პუბლიცისტიკისა და კრიტიკის განყოფილებაში მოთავსებულია ლარისა რეისნერის „ჰიმალაების ჩრდილში“ და სადისკუსიო წესით ი. გედევანიშვილის წერილი პროლეტარული ხელოვნების პრობლემის შესახებ. წიგნის ბოლო ფურცლები დათმობილი აქვს მდიდარ ბიბლიოგრაფიას და უცხოეთის ქრონიკას.

ზოგიერთი წერილის სტილს შესწორება და რედაქციის მზრუნველი ხელი აკლია. მაგალითისათვის: „უთოონოემა იმ დასკვნამდი მიეიდა“, „საზოგადოებამ შტაინახს დაეხმარა“ და ეს ერთ ფურცელზე ხდება. წიგნი ლამაზადაა გამოცემული, შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მ. 40 კ.

**ნ. წ—ძე.**

**ნ. ქოიავა. პარადოქსები ფასების ჩამოყალიბებაში.**

ამონაბეჭდი ჟურ. „ჩვენი მეცნიერება“-ს № 6-7-დან.

ჩვენ გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არ გამოდის ჟურნალი, რომელშიაც სპეციალურად ეკონომიური საკითხები შუქდებოდეს. ასეთი ორგანოს საჭიროებას ყველა გრძნობს, ვინაიდან სინამდვილეში წამოიჭრა ეკონომიკის მრავალი პრაქტიკული და აგრეთვე თეორიული საკითხი, რომელიც გაშუქებას მოითხოვს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი ნ. ქოიავა ერთ მეტად საინტერესო ფასების ჩამოყალიბების თეორიულ საკითხს ეხება. ეკონომიური კანონია: ერთსა და იმავე ბაზარზე ერთი ფასი არსებობს ერთსა და იმავე საქონელზე ერთსა და იმავე დროს. შეიძლება, რასაკვირველია, არ არსებობდეს ფასების აბსოლიუტურად ერთიდაიგივეობა. შეიძლება გადახვევა, გამონაკლისი, მაგრამ ეს საერთო კანონს ვერ დაარღვევს. ავტორის აზრით ომის და რევოლუციის დროს, ცუდვალიუტიან სახელმწიფოებში ადგილი ჰქონდა ისეთ ეკონომიურ მოვლენათ, რომელნიც საფუძველს უთხრიან ყველასაგან მიღებულ ფასების ჩამოყალიბების კანონებს. „გერმანიაში ამ ჟამად მყიდველები ორ ჯგუფად არიან გაყოფილი: თვისტომად და უცხოელებად. უცხოელი იხდის უფრო დიდ ფასს, ვიდრე თვისტომი. უცხოელი გერმანელისთვის ისეთ ადამიანს წარმოადგენს, რომელიც ეკუთვნის სხვა, გარკვეულ ქვეყანას და განსაზღვრული ვალიუტის მქონეა“ თვით უცხოელებშიაც არის განსხვავება: უცხოელი მაღალი ვალიუტის და დაბალი ვალიუტის მქონე“ ჩვენ არ გამოუდგებით დაწვრილებით ავტორის არგუმენტაციას და ვერ შევეხებით იმ მიზეზებს, რომლითაც ნ. ქოიავა ცდილობს ახსნას ფასების ჩამოყალიბების ეს უჩვეულო შემთხვევა.

გვგონია კი რომ მხოლოდ ამ შემთხვევით არ შეიძლება დაილევეა ნ. ქიდის დებულების, რომ ომს არც ერთი ეკონომიური კანონი არ შეურყევია.

შარჟები ნაცვლიშვილისა.



დადაისტი „მალშტრომში“ პ. კორიშელი.

საერთოდ, ეგრეთ-წოდებული ეკონომიური კანონები რელატიური ხასიათის არის, და შეიძლება იმდენი გადახრა მოხდეს ძირითად ვარიანტიდან, რომ რაიმე კანონის არსებობაში დავეჭვიანდეთ.

რაც შეეხება იმ კონკრეტ შემთხვევას, რომელზედაც ნ. ქორიავა ლაპარაკობს, ის დროებითი მოვლენა იყო; ხოლო გადახრას ფასების ჩამოყალიბებაში ნორმალურ დროს ყოველთვის ჰქონდა ადგილი, როდესაც მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებული საწარმოები საპროდუქციო ხარჯებს არ უწევენ ანგარიშს და ფასებს აწესებენ. ჩვენ ისეთი შემთხვევებიც ვიცით, როდესაც ერთსა და იმავე ბაზარზე, ერთსა და იმავე საქონელზე, სხვა და სხვა ფასი არსებობს. მაგ. ეგრეთ-წოდებულ სარკინისგზო tarif de faveur-ის დროს და სხ. მოქ. ქორიავას მიერ აღნიშნულ კანონისაგან გადახრათა მიმსგავსებულ შემთხვევებს ყოველთვის ჰქონდა ადგილი და თუ ვილაპარაკებთ ეკონომიურ კანონების დარღვევაზე, მაშინ დარღვევის დასაბამი რევოლიუციის და ომის წინაპერიოდში უნდა გადავიტანოთ.

ხოლო თუ ამ მეთოდით მივუდგებით საკითხს, ჩვენ ვშიშობთ რომ ეკონომიურ კანონებიდან არაფერი დაგვრჩება.

ნ. წ—ძე.



ნ. გოცირიძე, ვიკენშტეინის როლში „მალშტრომში“.



ა. ჟორჟოლიანი „მალშტრომში“, „ფილოსოფია ბიჟურია“.

**პასუხისმგებელი რედაქტორი: მ. კახიანი.**

გამომცემელი: **სახელმწიფო გამომცემლობა.**

# 3 აპრილს ა. წ.

# გაიხსნა

ამიერ კავკასიის ცენტრალური სასოფლო სამეურნეო ბანკი

# „ზაკსელბანკი"

ძირითადი თანხა **5.000.000** მან. ოქროთი

ბანკის გამგეობა: **ტფილისი, ლორის მელიქოვის ქ. № 5.**

დამფუძნებელი: ა. კ. ს. ს. ფ. რ. ფინანსთა სახალხო კომისარი., მიწადმოქმედების კომისარიატის სახალხო კომისრები და ცენტრები აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოსი.

აწარმოებს წესდებით ნებადართულ ოპერაციებს

ბანკის ოპერაციები სწარმოებს დღის 9-3 ს.

გამგეობა.

# თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის სავალდებულო

# დადგენილება № 59

## ქ. თბილისის სასაფლაოების მართვა-გამგეობის შესახებ.

**1924 წლის მარტის 21 ქ. თბილისი.**

თბილისის სასაფლაოების მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

§ 1. ქალ. თბილისის ფარგლებში მდებარე ყველა სარწმუნოების მოქალაქეთა საზოგადო სასაფლაოების მართვა-გამგეობა ევალება თბილისის აღმასკომის საქმეთა მმართველობას.

§ 2. ყოველ სასაფლაოს მრევლი ირჩევს სასაფლაოს გამგეს, რომელსაც ევალება სასაფლაოს უშუალო გამგეობა და მოვლა-პატრონობა, როგორც არის სასაფლაოს მიწების გაცემა, სასაფლაოს გალავნის შეკეთება-აშენება, წყლის გაყვანა და განათება, ხეების და მცენარეების მოვლა გაშენება, ძეგლების და მოაჯირების დაცვა და სხვა.

§ 3. სასაფლაოს გამგეს ამტკიცებს თბილისის აღმასკომის საქმეთა მმართველობა.

§ 4. ყოველ სასაფლაოზე იმყოფება დარაჯთა და მესაფლავეთა მუდმივი შტატი. შტატის რაოდენობა განისაზღვრება სათანადო სასაფლაოს გამგის მიერ საქმეთა მმართველობასთან შეთანხმებით.

§ 5. მიცვალებულთა სამარხი ადგილები უფასოა ყველასათვის.

§ 6. ყოველი სამარე ითხრება სიღრმით არა ნაკლებ სამი არშინისა. ხოლო სიგრძე-სიგანით — კი ფაქტიური საჭიროების მიხედვით. დაყრილი მიწა იტკეპნება მტკიცეთ და საფლავი ლამაზდება დეკორატიული მცენარეებით და კულტურული ხეებით. დარგული მცენარე ხეები ირწყვება საჭიროების მიხედვით.

§ 7. სასაფლაოს მოვლა-პატრონობის, საფლავების გასაჭრელ, ხეებ-მცენარეების შესაძენ და სასაფლაოს მუშა-მოსამსახურეთა შესანახ ხარჯების დასაფარავათ წესდება შრომის ხელფასი შემდეგი სახით:

ა) პროფკავშირის წევრებზე და შრომის ბირჟის მიერ აღრიცხულ, მაგრამ დაუზღვეველ პირებზე ორი ჩერვონული მანეთი.

ბ) დანარჩენ მოქალაქეებზე კი სათანადო სასაფლაოს გამგესთან შეთანხმებით.

**შენიშვნა:** ომის ინვალიდების, სოციალ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მზრუნველობის ქვეშ მყოფ მოქალაქეების და შრომის ბირჟის მიერ დაზღვევაზე აყვანილი უმუშევრების საფლავების გაჭრა და მიწის მიყრა ხდება სრულიად უფასოთ ამის შესახებ ყოველ ცალკე შემთხვევაში საქმეთა მმართველობის მიერ გაცემული სათანადო მოწმობის ძალით.—

§ 8. სასაფლაოს შემოსავალ-გასავალი სწარმოებს საქმეთა მმართველობის მიერ დადგენილი წესის დართვით და მისი სწორათ წარმოების სრული პასუხისმგებელია სასაფლაოს გამგე.

§ 9. სასაფლაოში მყოფ ეკლესიის კედლების ირგვლივ რჩება 30 ოთხკუთხი საჟენი თავისუფალი ადგილი. იქ მიცვალებულთა დასაფლავება აკრძალულია.

§ 10. აკრძალულია თბილისის აღმასკომის ნებადაურთველად მიცვალებულთა დასაფლავება ქვემოაღნიშნულ სასაფლაოებში და ეკლესიის გალავნებში.

1) მამადავითის ეკლესიის გალავანში.
2) ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოში მე-3 სამილ. რაიონში.
3) სომხეთა სასაფლაოში რკ.-გზის ლიანდაგთან
4) დიდუბის ეკლესიის გალავანში და
5) ყველა იმ ეკლესიის გალავნებში, სადაც დღემდე არ არსებობდა საზოგადო სასაფლაოები.

§ 11. ეს სავალდებულო დადგენილება არ ეხება სამხედრო უწყების სასაფლაოებს.

§ 12 ევალება თბილისის აღმასკომის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ რელიგიურ საზოგადოებათა საბჭოებს ა. წ. 10 აპრილამდის იქ, სადაც ეს გათვალისწინებულია ამ დადგენილებით აირჩიონ სასაფლაოთა გამგეები და დარაჯ-მესაფლავეები და მათი სიები წარმოუდგინონ დასამტკიცებლათ აღმასკომის საქმეთა მმართველობას.

§ 14. ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინათ გამოცემული ყველა სავალდებულო დადგენილებები.

§ 15. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

აღმასკომის თავმჯდომარე **ხუხიშვილი**

მდივანი **თიკანაძე**

სახელმწიფო უნივერსიტეტის

## კბილის სნეულებათა კლინიკაში

(პლეხანოვის პროსპ. № 126).

ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9—1 საათ. და საღამოთი 4—6-მდე

---

ექიმი

## პ. გ. ვართანოვი

სიფილისის, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

---

**ელექტრონის და სინათლის**

## სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

126—25—7

### ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის

# სავალდებულო დადგენილება № 60

**მდინარე მტკვარზე ნავებით მოძრაობის შესახებ.**

1924 წ. აპრილის 1, ტფილისი.

მტკვარზე ნავებით მოძრაობის დროს უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების მიზნით ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმიადგენს:

§ 1. წინადადება ეძლევა როგორც ყველა სახელმწიფოს, საზოგადო და კერძო პირებს, ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში სავსებით შეაკეთონ ყველა თავიანთი ნავები, რომლის საშუალებით ისინი აწარმოებენ მდ. მტკვარზე ტვირთვის გადაზიდვ-გადმოზიდვას და მოიწვიონ მენიჩბეებათ ამ დარგში საკმარისად გამოცდილი პირები.

§ 2. ევალება § 1-ში აღნიშნულ დაწესებულებებს და პირებს ყოველმა მომუშავემ ნავზე აუცილებლათ იქონიოს უბედური შემთხვევის დროისთვის საჭირო მაშველი რგოლები, პრობკები და სხ.

§ 3. ნებადართულია მდ. მტკვარზე მომუშავე ნავების მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდის.

§ 4. სასტიკათ ეკრძალება ყველა მოქალაქეებს მდ. მტკვარზე ნავით სეირნობა, ქეიფი და სხე.

§ 5. ტფ. მ. გ. მილიციის უფროსს ევალება გასცეს სათანადო განკარგულება ზემოაღნიშნულ §§-ის დამრღვევ პირთა დაპატიმრების და ნავების ჩამორთმევის შესახებ სათანადო ოქმის შედგენით.

§ 6. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პირები დაისჯებიან ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ადმინისტრატიული ხელისუფლებით, იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორი თვემდე ანდა ჯარიმით ას ჩერვონულ მანეთამდე.

§ 7. ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინათ გამოცემული ყველა სავალდებულო დადგენილებები.

§ 8. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა. თავმჯდომარე **ხუხიშვილი**.

**მდივანი თიკანაძე.**

# სახელმწიფო გამომცემლობა

მზადდება დასაბეჭდათ ახალი წიგნი

## ნ. ჟორდანია და ს. დევდარიანი

# საქართველოს საკითხი.

შინაარსი:

ნ. ჟორდანია — — — ჩემი პასუხი

ს. დევდარიანი — — ეს პასუხი არ არის

ს. დევდარიანი — — ნ. ჟორდანიას „ბრძოლის საკითხები“ და საქართველოს გზა.



# ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

აცხადებს კონკურსს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საავადმყოფოს სამი ექიმის თანამდებობის დასაჭერად: ექიმ აკუშორგინეკოლოგისა, ვენეროლოგისა საავადმყოფოში და ერთიც საექიმო პუნქტის გამგისა ხუთი ვერსის მოშორებით ჭიათურიდან, ჯამაგირი 15 გირვანქა სტერლინგი თითოს, პუნქტის ექიმს კი ამასთან ერთად—უფასო ბინა და გათბობა-განათება.

განცხადებები უნდა შემოტანილ იქნას ა. წ. აპრილის 10-დე ჯანსახკომისარიატის საკონკურსო კომისიაში. განცხადებასთან უნდა დართული იყოს: მოწმობა უნივერსიტეტის დამთავრების შესახებ, ნამსახურების სია Curiculum vitae, სამეცნიერო ნაწარმოები (თუ არის). ცნობები საზოგადო სტაჟის შესახებ და შემლებისდაგვარათ პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების შესვლულობა. პირობები ჯანსახკომში ოთახი მე-3.

საადმ.-საორგ. განყ. გამგე — ფრანგულიანი.

ქვეგანყ. გამგე — შალიგინი.

# სახელმწიფო ვაჭრობა

## სამკურნალო ქონებაზე

# „გრუზგოსმედტორგ“

გამგეობა ამით აუწყებს საყოველთაოდ, რომ ყოველივე პასუხისმგებლობა ყოფილ სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ფარმაცევტულებისა კომერციულ ხასიათისა

## სავალდებულოა „გრუზგოსმედტორგისათვის“

იმ პირთ, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ სახალხო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ყოფილ სავაჭრო აპარატთან უნდა მიმართონ „გრუზგოსმედტორგის“ გამგეობას (ევანგულოვის ქ. № 12).

## საწარმოო ადგილები

# „გრუზგოსმედტორგისა“

1) ბაქოს საწყობი—კამოს ქ. (ყოფილი დიდი მთავრისა № 76).
2) სააფთიაქო და საპირფარეშო მაღაზია № 1—თავისუფლების მოედანის ყოფ. ერევნისა.
3) სააფთიაქო და საპირფარეშო მაღაზია № 2 პროსპ. რუსთაველის და ვოენნი ქ. კუთხე.
4) საპროტეზო სახელოსნო—ევანგულოვის ქ. № 12.
5) საქიმიკო ლაბორატორია—კამოს ქ. № 76.
6) საგალენო პრეპარატების ლაბორატორია—კამოს ქ. № 76.

გრუზგოსმედტორგის დაეკუთვნებიან ყველა აფთიაქები, რომელნიც კი საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან.

სახელმწიფო ვაჭრობა

# „გრუზგოს მედტორგ"

ს. ს. რ. საქართველოს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ქონებაზე
1924 წლის 20 მარტის რეგისტრაციის შემდეგ

# დაიწყო თვისი მოქმედება

ცენტრალური გამგეობა მოთავსებულია ყოფილ ფარმოგანყოფილების ბინაზე — ევანგულოვის ქ. № 12.

ს. ს. მ. ო. ს. 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პროსპ. № 91 ტირაჟი 1000 ც.

# მუშებო და გლეხებო!

თქვენ ყველამ უნდა იყიდოთ მამაკაცების, ქალების და ბავშვების გამზადებული ტანთსაცმელები კარგი მასალისაგან, იაფად და ნაწილ-ნაწილად გადახდის გზით

მხოლოდ საფაბრიკო მაღაზიაში

# „გრუზოდეჟდა"

## რუსთაველის პროსპექტი № 11 (გოლოვინ.)

მოითხოვეთ საქარხნო კომიტეტების და ადგილკომე-ბის საშუალებით თქვენი დაწესებულებებისა და წარმოებისაგან კოლექტიური კრედიტები.

# ფაბრიკა:

მელიქოვის ქუჩა, **№ 5,** ტელეფ. **11—67.**

მიიღება დაკვეთები სამხედრო, სამოქალაქო და სპეც. ტანთსაცმელების მასიურ დამზადებაზე.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის (ყოფ. სახბანკი)

# განცხადება

ამით აუწყებს ყოფილ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მსესხებლებს, რომ ყველა მოხსენებულ ბანკში დაგირავებული და ტფილისის გუბერნიის ქალაქებში მდებარე მამულების საქმეები და საანგარიშო წიგნები გადმოცემულია სახალხო ბანკის ქუთაისის საიპოთეკო განყოფილებიდან ტფილისის საიპოთეკო განყოფილებაში (შტაბის ქ. № 4) და ამიერიდან აღნიშნული მამულების პატრონებმა საქართველოს საბჭოთა მთავრობისგან 28 დეკემბერს 1922 წ. № 16 გამოცემული დეკრეტის თანახმად ვალის გადასახდელად უნდა მიმართონ დასახელებულ საიპოთეკო განყოფილებას.